ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 27 აგვისტო, 2020 №181 (8445) ფასი: 60 თეთრი

„თამარ ბაჩალიაშვილის მანქანას შავნაბადას სპეცრაზმის უფროსი ზვიად ხარაზიშვილი მისდევდა“

გვ.5



„კალაძეს თუ არც მხედველობა უვარგა და არც ტვინი უჭრის, რატომ არის მერი?!“

გვ.3

ლევან ხაბეიშვილი: „ხიზანიშვილის ქუჩაზე გაკეთებულ რემონტს რომ აქებდა, დაავიწყდა?!“

„პატრიოტთა ალიანსი“ პუტინისთვის მირთმეული ივანიშვილის ძღვენია“

სერგო რატიანი: „ინაშვილს ხან ბოკერია უფრო მეტად უყვარს, ხან სააკაშვილი“

გვ.3

„დღის მონაცემებით, „ოცნებას“ არჩევნების მოგება არ უნდა გაუჭირდეს“

თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიციამ სტრატეგია უნდა შეცვალოს“

გვ.3

გვ.4

ასლან ბჟანია: „პატრიოტთა ალიანსის“ შესახებ საქმის კურსში ვიყავი“

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციის მიზანი სამთავრობო კრიზისის შექმნაა“

გვ.4

„ადამიანების მცირე რიცხვითაც შეიძლება რევოლუციის მოხდენა, მაგრამ ახლა მეეჭვება, რომ ხელისუფლებისა და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პასიურად შეხვდეს ნაციონალური მოძრაობის ქუჩაში გამოსვლას“

ISSN 1987-9385

5 „მამაჩემმა მოგვაძახა, შენ და დედაშენი შენი ძმის ხმას ვეღარ გაიგონებთო“ რას ყვება ნათია აბჟანდაძე საბერძნეთიდან

2 თრეველერის ხელმძღვანელი ტრაგედიამდე გიდს ესაუბრა

5 მამამ ვეფხია ხაჩიძე დაასაფლავა და მერე თავი ჩამოიხრჩო

6 ბორის ჯონსონი: „ნავალნის მოწამვლამ მსოფლიო შოკში ჩააგდო“

ნაციონალურმა მოძრაობამ ისანში მაჟორიტარობის კანდიდატად ხატია დეკანოიძე წარადგინა

ნაციონალურმა მოძრაობამ ისნის რაიონში საკუთარი კანდიდატი წარადგინა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამ ოლქში გამარჯვებისთვის ხატია დეკანოიძე იბრძოლებს.

მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ ისანში საკუთარი კანდიდატის წარდგენა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც, მათი თქმით, გიორგი ვაშაძემ გაერთიანებული ოპოზიციის შეთანხმება დაარღვია.

ცნობისთვის, გიორგი ვაშაძე თაკო ჩარკვიანთან ერთად გამოეყო ბლოკს „ძალა ერთობაშია“ და ახალი პოლიტიკური ბლოკი „სტრატეგია აღმაშენებელი“ დააფუძნა. ამის შემდეგ კი განაცხადა, რომ ქვეყნის პრემიერმინისტრობისთვის ბრძოლასაც გეგმავს.

მანამდე კი, ჯერ კიდევ „ახალი საქართველოს“ ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ განაცხადა, რომ საბურთალოს ოლქში თაკო ჩარკვიანის კანდიდატურას დაუჭერდა მხარს.

ნაციონალურმა მოძრაობამ ვაშაძე ოპოზიციური შეთანხმების დარღვევაში 20 აგვისტოს დაადანაშაულა. მაშინ პარტიაში ამბობდნენ, რომ საბურთალოს ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატად თაკო ჩარკვიანის დასახელება ლეიბორისტული პარტიის ფორმატში შეთანხმებული არ ყოფილა.

– გიორგი ვაშაძე ისნის საარჩევნო ოლქში ოპოზიციის ერთიან მაჟორიტარ კანდიდატად იყო წარდგენილი. მას ჰქონდა პოლიტიკური პარტიების მხრიდან მხარდაჭერა, თუმცა გიორგი ვაშაძემ და მისმა გუნდმა ოპოზიციის ერთობა დაარღვიეს იმის გამო, რომ პრემიერმინისტრობის კანდიდატად მისი დასახელება სავალდებულო ყოფილიყო, – ამბობდა მაშინ ლევან ბეჟაშვილი.

თავის მხრივ გიორგი ვაშაძემ შეთანხმების დარღვევაში ნაციონალური მოძრაობა დაადანაშაულა. 20 აგვისტოს მან თქვა, რომ თუ ენმ ისნის მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატს დააყენებდა, ეს მათი მხრიდან შეთანხმების დარღვევა იქნებოდა. ვაშაძემ თქვა ისიც, რომ ისანში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატსაც დაამარცხებდა.

გარდა ზემოთ ხსენებული კანდიდატებისა, ისნის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობისთვის კენჭს იყრიან:

„ქართული ოცნება“ – კახი კახიშვილი;

პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნა“ – დავით ჭიჭინაძე;

„ლელო საქართველოსთვის“ – ლანა გალდავა.

მამუკა მდინარაძე: „მტერს ჰქვია მტერი და ამ სიტყვის გადახედვა არ იგეგმება არასდროს“

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე „პატრიოტთა ალიანსის“ წევრების ოკუპირებულ აფხაზეთში ჩასვლას ეხმიანება და აცხადებს, რომ ამასთან დაკავშირებით გარკვეული საფრთხეები არსებობს. აქვე დეპუტატი აღნიშნავს, რომ ღიად პრორუსულ ძალებთან ერთად არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენენ ის ძალები, რომლებიც „დეკლარირებენ, რომ პროდასავლელები არიან, თუმცა მთელი თავისი პოლიტიკური ცხოვრების განმავლობაში აკეთებენ რუსულ საქმეს.“

– მე ნამდვილად არ ვიცი დეტალები და არც მინდა რომელიმე ოკუპანტი ქვეყნის წარმომადგენელს ან მათ დავეყრდნო, ვინც ამ ოკუპაციით სარგებლობს, მაგრამ თუ ეს განცხადებები არის რეალური, ეს, რა თქმა უნდა, საფრთხეებს შეიცავს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ მშვიდობით და განვითარებით უნდა ვიაროთ იმ გზაზე, სადაც დეოკუპაცია არის მიზანიც და არის მიღწევადი შედეგიც.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს თუ ხვალ დეოკუპაცია მოხდება და ერთადერთი გზა ამის არის განვითარება და მჭიდრო პარტნიორობა საერთაშორისო დასავლელ პარტნიორებთან.

ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის წითელი ხაზები იმას ნიშნავს, რომ ოკუპანტთან დაკავშირებით არანაირი პოზიცია არ გადაიხედება, აქ ჩვენ ვართ ძალიან პრაგმატულები და ხისტები და ვიცით, ვინ ვინ არის. მტერს ჰქვია მტერი და ამ სიტყვის გადახედვაც კი არ იგეგმება არასდროს. ნებისმიერი თავმოყვარე ადამიანი ასე იფიქრებს და იაზროვნებს და ასე ვფიქრობთ ჩვენ, მაგრამ დამატებით უნდა ვთქვა, რომ არ უნდა დაგვავიწყდეს ის ხალხიც, რომელიც დამატებით საფრთხეს წარმოადგენს და ერთ შემთხვევაში თუ ჩვენ საქმე გვაქვს ღიად გამოხატულ დეკლარირებულ პრორუსულ ძალებთან, მეორე შემთხვევაში, არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენს ის ხალხი, რომელიც დეკლარირებს, რომ ისინი პროდასავლელები არიან და მთელი თავისი პოლიტიკური ცხოვრების განმავლობაში აკეთებენ რუსულ საქმეს.

ყოველთვის გავუხსენებ მათ გაყიდულ სტრატეგიულ ობიექტებს რუსეთზე, ოკუპანტ ქვეყანაზე; არ დავიზარებ და გავიხსენებ რეზოლუციას, რომელსაც მხარი დაუჭირეს, სადაც ომიდან ორ თვეში ქართველ სამხედროებს ომის დაწყება დააბრალეს; კიდევ ერთხელ არ გვაქვს კითხვაზე პასუხი, რა მივიღეთ იმით, რომ 2011 წელს, აგვისტოს თვეში, მათ მხარი დაუჭირეს რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას და რა მივიღეთ სანაცვლოდ, კაცმა არ იცის. ასე უბრალოდ, ყოველგვარი დათქმის გარეშე და სანაცვლოდ რა მივიღეთ, არავინ იცის და ამ ყველაფრის ფონზე, როცა ვლაპარაკობთ პრორუსულ ძალებზე, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ ქვეყნისთვის, ამავე დროს უნდა ვილაპარაკოთ მათზე, ვინც ასე გარეგნულად, თითქოს პროდასავლელები არიან, მაგრამ არანაკლებ რუსული საქმე აქვთ ნაკეთები ამ ქვეყანაში, – განაცხადა მდინარაძემ.

გამკაცრებული სანქციები წინასაარჩევნოდ

საარჩევნო კამპანიის ოფიციალურად დაწყებამდე ხუთი დღით ადრე „ოცნებამ“ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესახებ განაცხადა.

მმართველი პარტია ამკაცრებს სანქციებს ამომრჩეველთა იძულების, დაშინების ან ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის შემთხვევებზე. 2020 წლის გადამწყვეტ არჩევნებზე, ის, ვინც ამომრჩეველზე ზეწოლას სხვადასხვა ფორმით მოახდენს ან შინა პატიმრობით 6 თვიდან 2 წლამდე ვადით დაისჯება, ან კიდევ 3 წლით პატიმრობა შეეფარდება.

„ოცნების“ მთავარ სპიკერს არჩილ თალაკვაძეს აღარ განუმარტავს, დაჩქარებული წესით საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა და არსებული სანქციების გამკაცრება რატომ დასჭირდა.

ოპოზიციას ივანიშვილის გუნდის გადაწყვეტილებაზე რამდენიმე ვერსია აქვს – საერთაშორისო საზოგადოებასთან ქულების ჩაწერის მცდელობა და გამკაცრებული სანქციების ისევ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გამოყენება.

ხელისუფლების ოპონენტები ივანიშვილის გუნდს ურჩევდნენ, პოლიტიკური ნება გამოიჩინოს, წინა არჩევნების პრაქტიკაზე უარი თქვას და მასობრივი მოსყიდვისა და დაშინების მცდელობები შეწყვიტოს.

ყოფილ თანაგუნდელებს საგანგებოდ მიმართა ეკა ბესელიამ. დეპუტატი ითხოვს, რომ ინიცირებულ ცვლილებებთან ერთად მის კანონპროექტზეც იმსჯელონ, რომელიც ამომრჩეველთა ხმების ხელახლა გადათვლის მექანიზმის ამუშავებას გულისხმობს.

იმის დამადასტურებლად, რომ ამომრჩეველზე ზეწოლა და შანტაჟი „ქართული ოცნებისთვის“ მიღებული პრაქტიკაა, ოპოზიციამ ზუგდიდის მე-6 საჯაროს სკოლის დირექტორის, ია კერზაიას საქმე გაიხსენა. ია კერზაიას შვილი ბაჩანა შენგელია ამბობს, რომ კანონს ბიძინა ივანიშვილის გუნდი შერჩევითი მიდგომით იყენებს და დარწმუნებულია, რომ „ოცნება“ გადამწყვეტ არჩევნებშიც იგივე ძალადობრივი მეთოდებით იმოქმედებს.

კანონპროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია და მის მიღებას მმართველი პარტია დაჩქარებული წესით მომავალ კვირას აანონსებს. ცვლილებები საარჩევნო და სისხლის სამართლის კოდექსებში შედის.

თრეველერის ხელმძღვანელი ტრაგედიამდე გიდს ესაუბრა

შალვა ბოლოთაშვილი პოლიციაში დაკითხეს

გუშინ, 26 აგვისტოს, საგურამოს პოლიციაში შატილში მომხდარ ტრაგედიაზე თრეველერის ხელმძღვანელი შალვა ბოლოთაშვილი დაკითხეს.

– შემთხვევის დღეს, 4 საათსა და 45 წუთზე მე ვესაუბრე გიდს, რომელმაც მითხრა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ეს ზარი ჩემს ტელეფონში ფიქსირდება. მანამდე მათ არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ, – განაცხადა შალვა ბოლოთაშვილმა.

მან, ასევე, აღნიშნა, რომ ტრანსპორტის საკითხზე ინფორმაცია სხვა პირებს – კომპანიის თანამშრომლებს ჰქონდათ, რომლებიც გამოძიების ფარგლებში დაიკითხნენ.

გამოკითხვაზე კომპანიის სხვა მძღოლიც იყო მისული, მან გამოძიებას უთხრა, რომ მძღოლი, რომელიც ავტოკატასტროფას ემსხვერპლა, პირველად იყო ხევსურეთში და, მისივე თქმით, მან წინასწარ მიიღო რჩევა იმ გზებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაევლო.

შეგახსენებთ, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა 23 აგვისტოს, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბისოს სიახლოვეს, შატილის გზაზე მოხდა. სამგზავრო მიკროავტობუსი, დაახლოებით, 80 მეტრის სიმაღლიდან კლდოვან ფერდობზე გადავარდა. 17 ადამიანი ადგილზე გარდაიცვალა, 3 კი მძიმედ დაშავდა.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო.

საგარეო უწყება ნესტან აბჟანდაძეს საბერძნეთიდან ჩამოსვლაში დაეხმარება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მზადაა, თერჯოლაში გარდაცვლილი 11 წლის მოზარდის, ავთანდილ აბჟანდაძის დედას, ნესტან აბჟანდაძეს, საბერძნეთიდან საქართველოში ჩამოსვლაში დაეხმაროს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, ისინი აქტიურად არიან ჩართული დედის დაბრუნების პროცესში, ასევე საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მისი საქართველოში ჩამოსვლისას პისიარ ტესტირებას.

„საბერძნეთში საქართველოს საკონსულო სამსახური კავშირზეა გარდაცვლილი მცირეწლოვანის დედასთან, რომელიც ამ დროისთვის საბერძნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება. საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას, დაეხმაროს აღნიშნულ ქალბატონს ქვეყანაში გამომგზავრების პროცესში, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია რთულ პროცედურასთან გამომდინარე იქიდან, რომ მას დარღვეული აქვს საბერძნეთის რესპუბლიკაში ყოფნის, ისევე, როგორც თავის დროზე თურქეთ-საბერძნეთის საზღვრის გადაკვეთის წესები. უწყება აქტიურად არის ჩართული აღნიშნული ქალბატონის დაბრუნების პროცესში, ასევე საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მისი საქართველოში ჩამოსვლისას პისიარ ტესტირებას“ – აღნიშნავენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

ნესტან აბჟანდაძე საქართველოში ბრუნდებოდა, თუმცა საბუთებში არსებული პრობლემის გამო, თურქეთ-საბერძნეთის საზღვრიდან საბერძნეთში დააბრუნეს.

ახალი ამბები
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„კალაძეს თუ არც მხედველობა უვარგა და არც ტვინი უჭრის, რატომ არის მერი?!“

ლევან ხაბეიშვილი: „ხიზანიშვილის ქუჩაზე გაკეთებულ რემონტს რომ აქებდა, დაავიწყდა?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ლევან ხაბეიშვილი პასუხობს.

– ლევან, კალაძის და მისი მხარდამჭერების მხრიდან სულ ისმოდა შეფასებები, ლევან ხაბეიშვილი უსაფუძვლოდ აკრიტიკებს თბილისის მერსო. თუმცა ფაქტი ჯიუტია, წლები კეთდებოდა გლდანი და ხიზანიშვილის ქუჩამ ერთ წვიმას ვერ გაუძლო. აუდიტის სამსახურს დაავალა კალაძემ ამ ფაქტის შესწავლა. რა მოხდა, უხარისხოდ იმუშავეს?

– ხედავთ, როგორი სამარცხვინო კაცია! უკაცრავად, მაგრამ ის ვიდეოებიც გვაქვს ნანახი, ხიზანიშვილის ქუჩაზე რომ მივიდა და ძალიან მაღალი ხარისხით შევასრულეთ სამუშაოები და სანიაღვრეებიც გავაკეთეთ და მაღალი კლასის გზა დავაგეთო. ახლა დაავალა აუდიტის სამსახურს?! რომ ვეუბნებოდი, ბევრი პრობლემა გაქვს, ხარვეზი და ამდენი ხანი რატომ გაიწელა, მაშინ რატომ იყო ეს არალეგიტიმური და მაშინ რატომ ვიტყუუბოდი?! დღეს დაავალა აუდიტს?!

– რატომ ემართებათ ყოველთვის ასე, რომ რასაც აკეთებენ, მერე თავიდან გასაკეთებელი ხდება?

– კორუფციაა! ქურდი რომ არის, მაგიტომ. ხარისხზე არ ფიქრობს, მარტო ფიქრობს ფულის შოვნაზე და ასე არ გამოვა რა! ზოგი შემომწირველია, ზოგს ტენდერი მოაგებინეს და მერე აქედან მოდის ეს უხარისხობა და კორუფცია. ეს არის კორუფციის ნათელი მაგალითი და ორმო, რომელიც გლდანში აღმოჩნდა, არის „ქართული ოცნების“ სახე. ორმოში მიგვაქანებენ პირდაპირი მნიშვნელობით.

13 მილიონი ლარია ამაში დახარჯული, ცოტა უფრო მეტიც. მერე გავიხსენოთ ისიც, რომ 2019 წლის სექტემბერში უნდა დასრულებულიყო და დასრულდა 2020 წლის მაისში. გავიხსენოთ ისიც, რომ ფაქტობრივად წელიწადნახევარზე მეტი, თითქმის ორი წელი აკეთებდნენ ამ გზას და ერთი ამდენი ხანი გადათხრილი იყო. ჯერ ბოლომდე დასრულებული არ არის, ორი თვეც არ გასულა და გზა ჩავარდა, ორმოები გაჩნდა. ეს რისი ბრალია?

– რისი?

– ჯერ ერთი, რომ აზრზე არ არის, სად არის და რას აკეთებს. ერთადერთი, ფულის საჭრელ დაზგად მიაჩნია მერია და მისი ბიუჯეტი საკუთარ საფულედ და ამიტომ იქცევა ასე. აი ამიტომ ვაკრიტიკებ სულ. მითხარით ერთი, რომელი მიმართულებით იყო კრიტიკა და შემდეგ არ აღმოჩნდა ისე, როგორც ჩვენ ვამბობდით. ჯერ ვაკეში ხომ დაავიწყდათ ჭები, ისე გავაკეთეთ, საუკუნეებს გაუძლებსო და რეალობაში რაც აღმოჩნდა, ყველამ ვნახეთ. ამიტომ ამას აქვს ერთი მარტივი პასუხი, ქურდები გვპარავენ 24 საათი იმ თანხას, რომელიც უნდა მოხმარდეს თბილისელების სიკეთეს.

კალაძემ და ივანიშვილმა მოგპარათ ეს ფული. ყველაფერი გაგიძვირეს, პროდუქტებს ვერ ყიდულობთ, თქვენი გაღარიბების ხარჯზე, სნორედ კალაძე და ივანიშვილი მდიდრდებიან.

– აუდიტის დასკვნას დაველოდოთო, აცხადებს კალაძე და პასუხისმგებლობის აცილებას ცდილობს?

– რად უნდა ამას აუდიტი, კაცი 24 საათი იქ დადიოდა, ლაივები ჰქონდა და გაიძახოდა, მე ვარ პასუხისმგებელი ხიზანიშვილის ქუჩაზეო, მე ვარ პასუხისმგებელი ვაკეზეო და თუ არაფერი არ შეუძლია და არც მხედველობა უვარგა და არც ტვინი უჭრის, მაშინ რატომ არის მერი?! წავიდეს და ფეხბურთი ითამაშოს ისევ. რაც კარგად გამოსდიოდა, ის საქმე აკეთოს. რა უნდა მერიაში?! მინდა ვუთხრა, რომ პასუხისმგებლობას ვერ აირიდებს! ვერ გაექცევა.

– ამ წინასაარჩევნოდ ვერ მოუვიდათ კარგი საქმე, ჩაუვარდა პროექტი.

– მარტო ეს პროექტი ჩაუვარდა?! ვაკის პროექტი არა?! ვაკეში ჯერ კიდევ რა გველოდება სექტემბერში, კაცმა არ იცის. თუ აეროპორტის გზა გააკეთა ნორმალურად?! წარამარა ხიდებს რომ აკეთებს. თუ ბარათაშვილი რომ გადათხარა მესამედ თუ მეოთხედ. საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ!

ეს 13 მილიონი ერთი დიდი ორმო აღმოჩნდა, ხომ ტყუილად არის ამ ორმოში გადაყრილი?! ვაკე 15-20 მილიონი რომ დაჯდა და მალე თავიდან იქნება ასაყრელი და გასაკეთებელი, ეს თანხა რამდენ კარგ საქმეს ეყოფოდა. სად წავიდა ეს ფული? წავიდა თითო-ოროლა ადამიანის ჯიბეში! ამ კაცს არც შრომა შეუძლია, არც გუნდი არა ყავს და არც კომპეტენცია აქვს. ერთადერთი, რაც შეუძლია, აქეთ იშვერს თითს, რომ თურმე ოპოზიცია ტყუის. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. თუ ვინმე გაიხსენებს რომელიმე საკითხს, რომელიც მე გავაპროტესტე და მერე ეს სიმართლე არ აღმოჩნდა, მე ბოდიშს მოვიხდი! სულ გავიძახოდი, რომ ხიზანიშვილის ქუჩაზე ყველაფერი არასწორად კეთდება, ფულს იპარავენ და ასე შემდეგ. კალაძემ, ტყუილია ყველაფერიო და რომელი აღმოჩნდა მართალი?!

– ამდენ წარუმატებლობას აპატიებს ივანიშვილი კალაძეს არჩევნების წინ?

– მათთვის მთავარი ფულია. ფულს ვერ იყოფენ, თორემ განა იმაზე დავობენ, ეს საქმე რატომ კარგად ვერ გააკეთეო. ჩვენს ფულს ვერ ინაწილებენ! ძალაუფლებას ვერ ინაწილებენ, თორემ საქმეზე კი არ არიან გაბუტულები. ვინ მეტი წაიღო, ვინ რომელ ბიზნესშია, მხოლოდ ამას ითვლიან.

ოპოზიცია იტყუებაო, კი არ ვიტყუებით, სიმართლეს ვასაჯაროებთ. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს, კალაძე! საბოლოო ჯამში აღმოჩნდება, რომ ყველა ჯერზე მართლები ვართ!

„პატრიოტთა ალიანსი“ პუტინისთვის მირთმეული ივანიშვილის ძღვენია“

სერგო რატიანი: „ინაშვილს ხან ბოკერია უფრო მეტად უყვარს, ხან სააკაშვილი“

იაგო ნაცვლიშვილი

ცენტრმა „დოსიემ“ 24 აგვისტოს მასალები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით, კრემლი „პატრიოტთა ალიანსს“ 2020 წლის არჩევნებისთვის ფინანსურად ეხმარება და წინასაარჩევნო კამპანიის შინაარსთან დაკავშირებით ინსტრუქციებს აძლევს.

„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა საგამოძიებო სტატიის შინაარსი უარყო და ამბობს, რომ თავად სააკაშვილმა და ბოკერიამ ინტერნეტგვერდზე დააწერინეს ტყუილი. „ევროპულმა საქართველომ“ გამოძიების დაწყების თხოვნით პროკურატურაში სარჩელი შეიტანა.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ჩარევის საკითხზე და იმაზე, რამდენად ადეკვატურად მოიქცა საქართველოს ხელისუფლება, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი საუბრობს.

– გაჩნდა ინფორმაცია, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ კრემლიდან იღებს დაფინანსებას. თქვენ როგორ აფასებთ ამ ვითარებას და თუ დაინახეთ ხელისუფლების რეაქცია ამ საკითხზე ან რამდენად ადეკვატური იყო ის?

– არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ თავისუფალ სამყაროში რუსეთი ცდილობს, გავ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

„დღეის მონაცემებით, „ოცნებას“ არჩევნების მოგება არ უნდა გაუჭირდეს“

თორნიკე შარაშენიძე: „ოპოზიციამ სტრატეგია უნდა შეცვალოს“

ნონა ცაბაძე

– ბატონო თორნიკე, ოპოზიციის ერთი ნაწილი ჩივის, რომ უმძიმესი წინასაარჩევნო ფონია ქვეყანაში. ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ამ ეტაპზე მომგებიან სიტუაციაშია, თუმცა მისი მდგომარეობა საკმაოდ მყიფეა და შესაძლოა ბოლო წუთს ყველაფერი შეიცვალოს. რას იტყვით თქვენ?

– ამ ეტაპზე ხელისუფლება საკმაოდ მყარად არის, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს საქართველოა, ქვეყანა სუსტი დემოკრატიით, სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტებით და აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალოს. ამიტომაც, პროგნოზების კეთება ადვილი არ არის.

ხელისუფლება ეფექტურად უმკლავდება კორონავირუსს, ამ მხრივ სიტუაცია კარგად უჭირავს. ეს არის ერთ-ერთი კოზირი. ასევე მას ეხმარება ადმინისტრაციული რესურსი და ოპოზიციის დაქსაქსულობა, ეს გამარჯვების მშვენიერი შანსია. ამიტომ ოპოზიციის მხრიდან წინასწარ გეგმების დაწყობა და მოუკლავი დათვის ტყავის გაყოფა არასწორია. ეს ოპოზიციის ამომრჩეველს კიდევ უფრო აბნევს.

– სად შეეშალა ოპოზიციას?

– ოპოზიცია ხომ ერთიანი არ არის. ყველას თავისი ამბიციები აქვს, როგორც ჩვენ ვუყურებთ. ყველაზე რეიტინგული ოპოზიციური პარტიის ლიდერი საქართველოში არ არის და ამის გამო ბევრ რამეს ვერ ხედავს. აქედან გამომდინარე, ოპოზიციამ მიიღო ის, რაც მიიღო. სამწუხაროდ, ოპოზიციას ერთი რაღაცა არ ესმის, რომ ქართველ ხალხს უნდა ცვლილება! მისთვის მოძველებულია როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიციის უდიდესი ნაწილი. ასეთ სიტუაციაში ამომრჩეველი რას იზამს? რაც არის, ისევ იმას დატოვებს. ანუ ამ ხელისუფლებას.

– იმის თქმა გინდათ, რომ ოპოზიციამ ვერ შეძლო ამომრჩევლისთვის სიახლის შეთავაზება?

– ვერ შეძლო. სიახლე თუ არა, ერთიანობა მაინც უნდა შეენარჩუნებინათ, თუნდაც მაჟორიტარულ ოლქებში. პროპორციულში, როცა ძალიან დაბალია გამსვლელი ბარიერი, ნამდვილად აზრი აქვს ცალ-ცალკე გასვლას, ეს უფრო მომგებიანია ალბათ, მაგრამ როცა მაჟორიტარების გამო ამდენს ჩხუბობენ, ეს იწყებს ამომრჩევლის დემორალიზაციას. ამომრჩევლის დიდი ნაწილი, ვისაც არც ერთი არ უნდა, ალბათ ხელს ჩაიქნევს და სახლში დარჩება და იტყვის, რა ვქნა, დარჩეს ისევ „ოცნება„.

მათ სთავაზობენ, რომ ცუდსა და უარესს შორის გააკეთონ არჩევანი, რაც არასწორია. გარეთ რაც ჩანს, საშინელებაა და წარმომიდგენია, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, რა ხდება ოპოზიციის შიგნით.

– ნაციონალები ვაშაძეს აბრალებენ ხელშეკრულების დარღვევას, ვაშაძე პირიქით მათ აბრალებს და არ დასრულდა ეს კინკლაობა.

– როდესაც ისანში ასეთი ძლიერი კანდიდატი ჰყავს ხელისუფლებას კახიშვილის სახით, კიდევ ასეთი კინკლაობა, ნაცვლად იმისა, რომ ერთიანები ყოფილიყვნენ, ცოტა არასერიოზულია. ეს ჩემი გასარჩევი არ არის, შიდაოჯახური დავა მგონია და ალბათ ამას ოჯახის ფსიქოლოგი სჭირდება.

– ისანში შანსი არა აქვს ოპოზიციას?

– ასეთი განხეთქილებით არა მგონია, რაიმე შანსი ჰქონდეს. ერთი კანდიდატურა რომ დაეყენებინათ და ყველას მისთვის დაეჭირა მხარი, კიდევ მესმის, მაგრამ ასე არაფერი გამოვა. ვერ მოახერხეს, რომ აქ მაინც ყოფილიყვნენ ერთიანები.

– საბურთალოზეც დიდი ამბები იქნებაო.

– საბურთალოზე სერიოზული ქაოსია და აქ ვინ ისარგებლებს? რა თქმა უნდა, ხელისუფლების კანდიდატი. ფაქტია, რომ აქაც ძლიერი კანდიდატი ჰყავთ.

– რა ხდება ხელისუფლების ფლანგზე? მაჟორიტარობის კანდიდატები ორმაგ თამაშს თამაშობენო. რატომ არ აქვთ ხელისუფლების გამარჯვების იმედი?

– მაჟორიტარები როგორც მოიქცევიან, ეს ყველამ კარგად იცის. თუ პროპორციულში „ოცნებამ“ ვერ მოაგროვა საკმარისი ხმები, დიდი შანსია, რომ ბევრი მაჟორიტარი გადახტეს ავტომატურად საწინააღმდეგო ბანაკში. მაჟორიტარს აინტერესებს მხოლოდ ის, რომ საკუთარი ბიზნესი დაიცვას. ამიტომ ყოველთვის მმართველ პარტიასთან უნდა იყოს ახლოს. თუ დაინახავს, რომ აგებს მმართველი პარტია და ბრუნდება ძველი მმართველი პარტია, არ დაფიქრდება, ისე გადახტება იქით.

– ბოლო პერიოდია, საერთოდ არ ჩანს ბიძინა ივანიშვილი. მოვისმინეთ შეფასებები, რომ ის ამჯობინებს იდგეს გახარიას უკან, მას გააკეთებინოს ყველა შავი საქმე და არჩევნების შემდეგ მოი შოროს. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

– მე არ ვფიქრობ, რომ ასეა. არც იმის გადაჭრით თქმა შეიძლება, მოიშორებს თუ არა. გახარია მას პირადად არანაირ საფრთხეს არ უქმნის. ყველა ვხედავთ, რომ კარგი კრიზისმენეჯერია. რა, არჩევნების მერე ერთბაშად გაქრება კორონავირუსი? აღარ იქნება საჭირო ამ სიტუაციის მართვა?! ასე მარტივად არ არის საქმე და მე ასე პრიმიტიულად არ განვიხილავ ივანიშვილს.

– რატომ არ ჩანს? რატომ არ აქტიურობს? არ არის მისი გამოჩენა მომგებიანი?

– რაში სჭირდება, რომ გამოჩნდეს?! ამ ეტაპზე მთავრობას აქვს წარმატების მაგალითი, კორონას ვგულისხმობ, ბუნებრივია და ეს წარმატების მაგალითი ვინ შექმნა, ესეც ყველამ იცის. ივანიშვილს არ შეუქმნია. ამიტომაც მისი გამოჩენა არ არის საჭირო. გახარიამ, ექიმებთან ერთად, წარმატების მაგალითი შექმნა, რეალურად ამით აპირებენ არჩევნების მოგებას და ამიტომ, წინა პლანზე ჯობია იყოს ამ წარმატების მაგალითის შემქმნელი.

– ანუ კორონამ სულზე მოუსწრო „ოცნებას„?

– კი ბატონო, ასეა.

– თქვენი პროგნოზი როგორია ორი თვით ადრე, როგორი შედეგი დადგება?

– ამ მონაცემებით, რაც დღეს გვაქვს, „ოცნება“ იმარჯვებს. შესაძლოა, კოალიციაც ვივარაუდოთ რომელიმე პარტიასთან. ესეც ზრდილობის გამო, რომ აჩვენოს, რომ დემოკრატიულები ვართ და ევროპელები. დღევანდელი მონაცემებით ასეა და ამის უარყოფას რა აზრი აქვს?! ოპოზიციამ დაუშვა შეცდომა და აპელირებას ახდენდა და ახდენს ისეთ თემებზე, რომლებიც არ მუშაობს.

ერთი და იგივეს მოსმენით ხალხი დაიღალა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პარლამენტის დაკომპლექტების შემდეგ, შესაძლოა, სულ სხვა რეალობა დადგეს.

– რას გულისხმობთ?

– სამწუხაროდ, წინ დიდი ეკონომიკური კრიზისი გველის. საკითხავია, ამ ყველაფერს რამდენად გაართმევს მთავრობა თავს და რამდენად შეინარჩუნებს „ოცნება“ პოზიციებს. ეს უკვე სხვა საქმეა. აქ უნდა იყოს ოპოზიცია ჭკუით, რომ ეს სისუსტე გამოიყენოს, ხოლო თუ ასე გააგრძელებს, რასაც დღეს აკეთებს და მხოლოდ რუსეთი რუსეთიო, გაიძახის, ეს მას ვერ დაეხმარება.

ეს არასწორი სტრატეგიაა და ბოლო 8 წელიწადში კარგად გამოჩნდა.

დროა, ოპოზიციამ სტრატეგია შეცვალოს.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

ასლან ბჟანია: „პატრიოტთა ალიანსის“ შესახებ საქმის კურსში ვიყავი“

აფხაზეთში მოითხოვენ იმ პირების დასჯას, რომლებმაც ხელი შეუწყვეს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გადასვლას გალში

მარიამ მჭედლიშვილი



იმ დროს, როცა თბილისში არკვევენ, შეესაბამება თუ არა რეალობას ინფორმაცია კრემლის სტრუქტურებიდან საქართველოს პატრიოტთა ალიანსის 8 მილიონ დოლარზე მეტით დაფინანსების შესახებ, ოკუპირებულ აფხაზეთში ამ პარტიის ლიდერების აფხაზეთში შეღწევის გარემოებებს იკვლევენ.

შეგახსენებთ, რომ ალიანსის ლიდერები გალის რაიონში 18 აგვისტოს იმყოფებოდნენ. პარტიის გენმდივანი, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი აქვეყნებს ილორის ეკლესიაში გადაღებულ ფოტოებს და ამბობს, რომ მასთან ერთად ტაძარში იყო პატრიოტების ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ლომია. მათ ილორის ეკლესიას ღვთისმშობლის ხატი შესწირეს.

ამავეს 23 აგვისტოდან აღარ მალავს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის, ასლან ბჟანიას თანაშემწე ლაშა საკანია.

ამასთან, ამ ვოიაჟის ორგანიზატორი საკანია უარყოფს ვიზიტორებთან რაიმე სახის მოლაპარაკებებს. მისი მტკიცებით, ეს ჰუმანიტარული ვიზიტი იყო.

ლაშა საკანია ამბობს, რომ ამ საქმეში ის რუსების მოთხოვნით ჩაერია:

– აგვისტოს დასაწყისში ძველმა მეგობრებმა რუსეთის ფედერაციიდან მთხოვეს, გამეწია დახმარება საქართველოდან ღვთისმშობლის ხატის ილორის ტაძრისათვის გადაცემაში. ამის თაობაზე მათ დავით თარხან-მოურავმა მიმართა. მე პატრიოტთა ალიანსს ამაში ხელი შევუწყე, ამის ორგანიზება მოვახდინე. ჩემი მისია ამით ამოიწურა.

საკანიას განმარტებები არ აკმაყოფილებს აფხაზეთის საზოგადოების რადიკალურ ნაწილს. ისინი დაუშვებლად მიიჩნევენ ქართველი თანამდებობის პირების აფხაზეთში ფარულად გადასვლას და ამისი ორგანიზატორების დასჯას მოითხოვენ. მაგალითად, ვეტერანთა ორგანიზაცია „არუაა“, რომელიც დანარჩენ საქართველოსთან ვაჭრობასაც კი ეწინააღმდეგება, აგრძელებს აქტივობებს ამ თემაზე.

„არუაა“ ამ სკანდალური პოლიტიკური ინციდენტის გარემოებებს იკვლევს. ამ მიზნით ვეტერანები ამ ორგანიზაციიდან ასლან ბჟანიასაც შეხვდნენ.

ასლან ბჟანიამ მათ განუმარტა, რომ ალიანსელების გეგმების თაობაზე საქმის კურსში იყო ჩაყენებული.

რადიკალები ამან ვერ დააშოშმინა. ისინი დამნაშავეების დასჯას მოითხოვენ. ამ ორგანიზაციის წევრია გალის ყოფილი გამგებელი თემურ ნადარაია, რომელმაც ხაჯიმბას დროს, რამდენიმე წლის წინ, გალის რაიონში ქართველებს რეპრესიებამდე მისული შეზღუდვები დაუწესა. ქართველებისათვის პასპორტების ჩამორთმევა სოხუმის დირექტივა იყო, ნადარაიას კი ადგილზე ქართველების ჩაგვრაში თავისი წილი შეჰქონდა. ის აცხადებდა, რომ ამ რაიონის მოსახლეობას ქართულად სწავლა არაფერში სჭირდებაო.

თემურ ნადარაიამ ბჟანიას უთხრა, რომ ქართველებთან ურთიერთობისათვის საკმარისია ჟენევის მოლაპარაკებები, სხვაგვარი შეხვედრები დანაშაულია.

– ვერავინ საშინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ამგვარი რამ მოხდებოდა. ბოლო 12 წლის განმავლობაში, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, საქართველოს ამ დონის სახელმწიფო მოღვაწე აფხაზეთში არ შემოსულა. ის, რაც მოხდა, დანაშაულია. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, – აღნიშნა გალის ადმინისტრაციის ყოფილმა უფროსმა.

ვეტერანებმა არდადეგებზე მყოფი აფხაზური პარლამენტის დეპუტატებთანაც მოახერხეს შეხვედრა. მათ იქ თქვეს, რომ ფეთქებადი სიტუაცია დაწყნარდება მხოლოდ დამნაშავეების დასჯის შემთხვევაში.

დეპუტატებმა პირობა დადეს, რომ საკანიას დაჰკითხავენ. ეს ან სესიის დაწყებისას მოხდება, ან – მანამდე.

დეპუტატებთან ამ საკითხზე მსჯელობას ასლან ბჟანიაც გეგმავს.

აფხაზ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობაა.

– თუ ეს ოპოზიციური პარტიაა, რომელიც მზადაა, ცნოს ჩვენი დამოუკიდებლობა, მაშინ რატომ უნდა გამოვიდეთ ასეთი ფარული მოლაპარაკებების წინააღმდეგ?! – ამბობს ერთ-ერთი მოქალაქე.

„ოპოზიციის მიზანი სამთავრობო კრიზისის შექმნაა“

რამაზ საყვარელიძე: „ადამიანების მცირე რიცხვითაც შეიძლება რევოლუციის მოხდენა, მაგრამ ახლა მეეჭვება, რომ ხელისუფლებისა და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პასიურად შეხვდეს ნაციონალური მოძრაობის ქუჩაში გამოსვლას“



პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

– ბატონო რამაზ, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, დღეს არსებული მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ უმრავლესობისა და მომავალი მთავრობის ჩამოყალიბებას. თუმცა, მეორე ტურებს არ გამორიცხავს და აქაც გამარჯვებულად სამთავრობო კანდიდატს მიიჩნევს. ბევრგან იქნება მეორე ტური?

– მეორე ტური უმრავლეს ოლქებში, ვფიქრობ, არ იქნება. წარმოდგენილი კანდიდატების ძალთა თანაფარდობა ამის საფუძველს არ იძლევა. თუმცა, არის ოლქები, სადაც, სწორედ ძალთა თანაფარდობის გამო, შეიძლება მეორე ტური გახდეს საჭირო გამარჯვებულის გამოსავლენად. რაც შეეხება კითხვას, საბოლოოდ ვინ გაიმარჯვებს? აქ, მე საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის ფენომენს მოვიშველიებ. თუკი, მეორე ტური გაიმართება „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს შორის, როგორც საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ასეთ დაპირისპირებაში „ოცნებას“ ექნება უპირატესობა.

– ამ შემთხვევაში ოპოზიციის მობილიზება არაფრის მომცემი იქნება?

– მაჟორიტარული არჩევნები საერთოდ თავისი სპეციფიკით გამოირჩევა და ის სრულიად განსხვავდება საპრეზიდენტო არჩევნებისგან, მაგრამ კონტექსტია აქ მნიშვნელოვანი და რა არის ეს კონტექსტი?! „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი კანდიდატი, რომელსაც ასევე ჰქონდა ოპოზიციის სრული მხარდაჭერა საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგრამ ამან გარდატეხა ვერ შეიტანა. შეიძლება ასეთივე სურათი მივიღოთ რეგიონებში, მაჟორიტარულ არჩევნებზე.

– ოპოზიცია ერთმნიშვნელოვან პოზიციაზეა, რომ ახალი მთავრობა კოალიციური იქნება. „ქართული ოცნება“ კი დარწმუნებულია, რომ 76 მანდატს აიღებს და მარტო დააკომპლექტებს მთავრობას. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?

– ოპოზიცია, თავის პროგნოზში არაერთხელ შემცდარა. მათ სიტყვას დიდად არ დაეჯერება. ხომ იცით, ერთხელ სახელის გატეხვას, თავის გატეხვა ჯობია. დიდი ხანია გვესმის ოპოზიციისგან, რომ მომავალი მთავრობა კოალიციური იქნება, მაგრამ ეს ხომ უნდა ემყარებოდეს რაღაც რაციონალურ არგუმენტს?! მაგალითად, რეიტინგებს. თუ რეიტინგებს ავიღებთ, ვნახავთ, რომ მათსავე კვლევებში „ქართული ოცნება“ მათ უსწრებს და თავად როგორ ქმნიან კოალიციას, მით უფრო „ოცნების“ გარეშე?! ეს ხომ არადამაჯერებელია. მე ვთვლი, რომ კოალიციის შემკვრელი „ქართული ოცნება“ იქნება. დღევანდელი მოცემულობით ასეა, ასეთია რეალობა.

მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციის მიზანი კოალიცია კი არა, სამთავრობო კრიზისის შექმნაა.

– რატომ?

– რადგან მათ წინასწარვე თქვეს, რომ კოალიციას არ შექმნიან „ქართულ ოცნებასთან“. არადა, მშვენივრად იციან, რომ „ოცნების“ გარეშე კოალიცია უბრალოდ არ გამოდის. ამდენად, ძალიან მძიმე მდგომარეობის განვითარებას არ გამოვრიცხავ. რადგან არ ჩანს, რომ მათი მიზანი კოალიციური მთავრობაა. ამიტომ, მათი ნათქვამი, რომ მომავალი მთავრობა კოალიციური იქნება, არადამაჯერებლად გამოიყურება.

– ხელისუფლებამ უკვე თქვა, რომ ოპოზიციის მიზანი რევოლუციაა. თუ არჩევნების ლეგიტიმაცია დადგება დღის წესრიგში, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი ისედაც იქნება?

– შევხედოთ, როგორ მიმდინარეობს ბელარუსიაში პროცესები: უმთავრესი საკითხი არჩევნებისადმი უნდობლობაა. ხმების გადათვლას ითხოვენ. ამდენად, შეიძლება საერთოდ არ მივიდეს სამთავრობო კრიზისამდე საქმე. სამთავრობო კრიზისი ერთია, როდესაც კონსტიტუციის ფარგლებში ვითარდება მოვლენები და მეორეა ქვეყნის მასშტაბით პოლიტიკური კრიზისი.

იმდენჯერ გაგვიგია რევოლუცია ოპოზიციის მხრიდან, მაგალითად, სააკაშვილი ამაზე აპელირებდა თან რამდენჯერმე, რომ ეს სცენარი გამორიცხული არ არის. შემთხვევით არ მიხსენებია ბელარუსია. იქ მიმდინარე პროცესები აშკარად იძლევა იმპულსს საიმისოდ, რომ ქუჩა ისევ გახდეს პოლიტიკის არენა. თუკი ქუჩაში გავიდა ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ის ეცდება, ხელისუფლება უკვე ქუჩიდან შეცვალოს და არა არჩევნებით. ეს სულ სხვა სცენარია და მას არაფერი საერთო არ აქვს სამთავრობო კრიზისთან. ეს უკვე იქნება სახელმწიფო კრიზისის წყარო. თუმცა, მეეჭვება, რომ ამ სცენარს განვითარება ჰქონდეს.

– რატომ?

– ამისთვის ხალხის ნებაა საჭირო. ბოლო ხანებში ოპოზიცია მიტინგებს ვეღარ ატარებდა, იმდენად ცოტა ხალხი იყო. სარალიძის ტრაგედიაზეც კი, როდესაც ხალხმა „ნაციონალური მოძრაობა“ დაინახა, სახლში დაბრუნდა. თან, თუ უცხოელი დამკვირვებლები დარღვევებზე აქცენტს არ გააკეთებენ, მეეჭვება, რომ საპროტესტო აქციები შედეგიანი აღმოჩნდეს. ერთი ან ორდღიანი მღელვარება შეიძლება იყოს.

– რევოლუციის რესურსი ყოველთვის ხალხია და არა პოლიტიკოსები?

– არა, მთლად ასეც არ არის! იცით, როგორი პროპორციაა, თითქოს ნახევარი ნახევარზე. ან პირიქით, რევოლუციონერების სასარგებლოდ. „ვარდების რევოლუციის“ დროს რამდენი ადამიანი იყო ქუჩაში გამოსული?! სააკაშვილმა თქვა 30 ათასი ვართ და არ არის საკმარისი?!

თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი ოქტომბრის რევოლუციაც ძალიან პატარა ჯგუფმა მოახდინა. იყო პატარა ჯგუფი რევოლუციონერების და დანარჩენი რუსეთი იყო პასიური. ასეთ დროს სულ სხვა რაღაც არის გადამწყვეტი, სხვადასხვა ფაქტორები მუშაობს ამ დროს.

ამდენად, ადამიანების მცირე რიცხვითაც შეიძლება რევოლუციის მოხდენა, მაგრამ ამ შემთხვევაში მეეჭვება, რომ ხელისუფლებისა და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა პასიურად შეხვდეს „ნაციონალური მოძრაობის“ ქუჩაში გამოსვლას. მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ ბარიერის მეორე მხარეს ხალხი სპონტანურად გამოვიდეს „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ, რადგან იმდენად დიდია პროტესტი „ნაციონალების“ რევანშისადმი. თუმცა, ოპოზიციის საპროტესტო აქციები, არ არის გამორიცხული, ყურადღების მიღმა დარჩეს დასავლეთს და ამან შეიძლება ერთგვარი ნიავი გამოიწვიოს.

„პატრიოტთა ალიანსი“ პუტინისთვის მირთმეული ივანიშვილის ძღვენია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ლენა მოახდინოს არჩევნებზე და, შესაბამისად, ჩაერიოს შიდა ცხოვრებაში. მით უმეტეს, ეს სახიფათოა ჩვენ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი ტერიტორიების 20% ოკუპირებულია და რუსეთი ღია აგრესორია.

რა უნდა ვთქვათ?! ამ წლების განმავლობაში პირველი, რაც „ოცნების“ ხელისუფლებამ გააკეთა, არის ის, რომ გაათავისუფლა რუსი ჯაშუშები და ასევე, ამ წლების განმავლობაში მას არც ერთი ჯაშუში არ გამოუვლენია და დაუჭერია. ასევე, გაძლიერდა პრორუსული ძალები, რომლებიც ანტიდასავლური ნარატივით მოქმედებენ და ძალადობრივი და სიძულვილის ენით საუბრობენ.

„პატრიოტთა ალიანსი“ და „ქართული მარში“ არის „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის ძღვენი რუსეთისთვის და პირადად პუტინისთვის, როდესაც ისინი არიან პარლამენტში. ეს მაშინ, როდესაც იგივე რეიტინგის მქონე სხვა ოპოზიციური ძალები პარლამენტს გარეთ დარჩნენ.

როდესაც დღეს სრულიად გამჭვირვალე დაფინანსებას ვხედავთ, როდესაც ის მოდის რუსეთიდან ამ ძალების მხარდასაჭერად და ამაზე საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს რეაგირება, ეს იმას ნიშნავს იმას, რომ კიდევ ერთ საჩუქარს უმზადებენ პუტინს.

– ანუ, ივანიშვილი რეალურად პუტინს უმზადებს საჩუქარს? ამას ამბობთ?

– დიახ, რასაკვირველია. ეს ძალა არის პრორუსული ძალა და როდესაც ხელისუფლება ეხმარება და ამ ქმედებებზე თვალსა ხუჭავს, ეს არის ის, რომ ივანიშვილი გარკვეულ საჩუქარს უმზადებს რუსეთს.

– ირმა ინაშვილმა ამ ინფორმაციის გაჟღერება დაუკავშირა სააკაშვილს და ბოკერიას და თქვა, რომ მათი დაწერილი ინფორმაციაა და რეალობასთან საერთო არაფერი არ აქვსო. ამ განცხადებამ რა გითხრათ – ეს თავის მართლების მცდელობაა თუ რა?

– რას უნდა დაუკავშირო სხვა, როდესაც ინაშვილი ღიად ამბობს, რომ ის პრორუსულია და ღიად დადიან რუსეთში და ღიად ქადაგებენ რუსულ პოლიტიკას, მათ შორის, სიძულვილის ენას. ღიად საუბრობენ ანტიდასავლური რიტორიკით, ის, რომ ამ დღეებში ცნობილი გახდა დაფინანსების შესახებ, ამაზე მეტყველებს.

თუ ხელისუფლებას სურს, უნდა გამოიძიოს. იგივე ინაშვილს თუ სურს, რომ ეს იარლიყი არ ჰქონდეს, მაშინ ის თვითონ უნდა ითხოვდეს გამოძიებას. ამიტომ ამის სხვაზე გადაბრალება არის მათი სტილი.

ინაშვილს განსაკუთრებულად „უყვარს“ ბოკერია და სააკაშვილი. ვერ გეტყვით, რომელი უფრო. ხან ერთი და ხან მეორე. ეს მისი პირადი ამბავია.

– თქვენ პირადად ელოდებით თუ არა, რომ რუსეთი საქართველოში ჩასატარებელი არჩევნების კონტექსტში სხვა მიმართულებითაც გააქტიურდება. ეს ალბათ არის საერთო კონტექსტის ერთი მხარე და გველოდება ამ პრიზმის სხვა მხარეებიც. თქვენ ეს მოლოდინი გაქვთ?

– რა თქმა უნდა. მოდი გავიხსენოთ, თავად რუსეთს აქვს ნათქვამი, 2008 წელს ტანკებით რომ შემოსულიყვნენ თბილისში, დაახლოებით იგივე შედეგი ექნებოდათ, რაც აგერ დღევანდელი ხელისუფლების – „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის პირობებში. იმიტომ, რომ დღევანდელი ხელისუფლება გარკვეულწილად სწორედ ამ პოლიტიკას ეწევა. ამიტომ, „ქართული ოცნება“ არის ის ძალა, რომლითაც გააქტიურებულია რუსეთი ერთი მხრივ და მეორე მხრივ, სხვა სატელიტი.

– ბურჯანაძე აღარ არის პუტინის პრორუსული სატელიტი და დასაყრდენი?

– რასაკვირველია, ბურჯანაძეც არის, მაგრამ ის დღეს ოდნავ განსხვავებული რიტორიკით არის, მაგრამ სწორედ ეს ძალები არიან, რომლებიც ღიად პრორუსულ პოლიტიკას ეწევიან. სწორედ ეს არის ჩარევა და სწორედ ამ სატელიტების მეშვეობით იბრძვის რუსეთი და პუტინი საქართველოში. ოღონდ ყველაზე დიდი საფრთხე „ქართული ოცნებაა“.

– რატომ?

– იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ არის სახელისუფლებო ძალა და ფაქტობრივად ის არის რუსეთის მოკავშირე, რაც ყველაზე სახიფათოა ჩვენი ქვეყნისათვის.

– ვინაიდან ამბობთ, რომ ეს არის ივანიშვილის ძღვენი პუტინისთვის, აქედან გამომდინარე არ ელოდებით გამოძიებას? თუნდაც ფორმალურად, რომ სათქმელად მაინც ჰქონდეთ, რომ აი, საზოგადოებას მაინც უთხრან ეს?

– ჯერჯერობით ეს არ ჩანს. ის რომ მაინც ეთქვათ, გამოვიძიებთო, ესეც კი არ უთქვამთ ჯერჯერობით. ეს მაინც იქნებოდა სასურველი, რომ ასეთი განცხადება მაინც გაეკეთებინათ, მაგრამ ესეც კი არ უთქვამთ.

ამიტომ, ჩვენ არც ველოდებით მსგავს რამეს.

„თამარ ბაჩალიაშვილის მანქანას შავნაბადას სპეცრაზმის უფროსი ზვიად ხარაზიშვილი მისდევდა“

„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას ინფორმაციით, თამარ ბაჩალიაშვილის მოთვალთვალე ერთ-ერთი მანქანით „შავნაბადას“ სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელი ზვიად ხარაზიშვილი, იგივე „ხარება“ გადაადგილდებოდა.

როგორც გადაცემაში „მთავარი აქცენტები“ ნიკა გვარამიამ თქვა, ხარაზიშვილი ეჭვმიტანილია აფგან მუხთარლის გატაცებაში და მასზე საუბარი იყო ეროსი კიწმარიშვილის საქმესთან დაკავშირებითაც.

ნიკა გვარამიამ 3 ავტომობილის სანომრე ნიშანი 23 აგვისტოს გაასაჯაროვა. მისივე ინფორმაციით, ეს ავტომობილები, თამარ ბაჩალიაშვილს, სავარაუდოდ, დაყვებოდნენ და უთვალთვალებდნენ. მისივე ინფორმაციით, მანქანები ოპერატიულია და სუსს ეკუთვნის.

ნიკა გვარამია ამბობს, რომ ეს არის მორიგი მტკიცებულება, რომ თამარ ბაჩალიაშვილს თავი არ მოუკლავს.

თამარ ბაჩალიაშვილის დედის, თეონა თამაზაშვილის თქმით, 1 ავტომობილი ბაჩალიაშვილის სახლთან მის გაუჩინარებამდე პატრულირებდა.

– ამ მანქანასთან დაკავშირებით თქვეს, რომ ის დადიოდა განუბაჟებელი, წითელი ნომრებით. 1 იანვრიდან 20 ივლისამდე და 20 ივლისს გადაიფორმა ვინმე ოთარ რობაქიძემ. და მერე რატომღაც გადაიფორმა ნათელა ჩეჩელაშვილმა იმავე დღეს, – განაცხადა თეონა თამაზაშვილმა.

როგორც ნიკა გვარამიამ თქვა, ეს მანქანა ამ წუთას ბაზაში არ იძებნება, რაც ჩვენი დაკვირვებით ასევე ნიშნავს, რომ ეს ოპერატიული მანქანაა.

წამყვანის კითხვაზე, ხომ არ უკითხავს, რატომ პატრულირებდნენ მის სახლთან ან რობაქიძე ან ჩეჩელაშვილი ამ მანქანით, ბაჩალიაშვილის დედა ამბობს, რომ: „ამ სერიით სხვა მანქანა არ იძებნება და, სავარაუდოდ, ეს არ იყოო, გეშლებათ ნომერიო“.

დეა კაპანაძეს აქვს ინფორმაცია, თუ ვინ გაიყვანა თამარ ბაჩალიაშვილი საბედისწერო დღეს სახლიდან.

ამ საკითხში თეონა თამაზაშვილისა და ბაჩანა ლობჟანიძის აზრი ერთმანეთს ემთხვევა. ისინი თვლიან, რომ თამარ ბაჩალიაშვილის ახლო მეგობარი ამგვარ ინფორმაციას ნამდვილად ფლობს.

– ჩემი აზრით, დეა კაპანაძეს აქვს იმ ფაქტებზე ინფორმაცია, რამაც შეიძლება თამარის გარდაცვალების მიზეზებამდეც კი მიგვიყვანოს. მისი დუმილი ცოტა არ იყოს საეჭვოც კია ჩემთვის, – განაცხადა ლობჟანიძემ.

ლობჟანიძის თქმითვე, საგამოძიებო უწყება უნდა დაინტერესდეს დეა კაპანაძით და იმ გარემოებებით, რომელთა შესახებაც გარდაცვლილი გოგოს ახლო მეგობარს აქვს ინფორმაცია და გამოძიებას უკვე აცნობა.

ოჯახის ადვოკატის, მიხეილ რამიშვილის, განცხადებით, საქმეში თვითმკვლელობის ვერსია ძალაში ვერ დარჩება, რადგან ეს მკვლელობაა.

როგორც რამიშვილმა გუშინ, 26 აგვისტოს, თბილისის პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, თუ საჭირო გახდება, ისინი ცხედრის ექსჰუმაციასაც ჩაატარებენ.

– ვისაუბრეთ არაკვალიფიციურ საგამოძიებო მოქმედებებზე, რის გამოსწორებასაც ახლა გამოძიება ცდილობს. ყველა დარღვევაზე, რაც არის, ხელმეორედ მოუწევს გამოძიებას, რომ ყველაფერი თავიდან ჩაატაროს. თვითმკვლელობა ძალაში ვერანაირად ვერ დარჩება, რადგან კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის მკვლელობა.

სულ რომ ექსჰუმაცია დასჭირდეს თამუნას ცხედარს, მაინც ყველაფერს გავაკეთებთ. დაველოდებით ამ თვის ბოლოს, თუ რა შედეგს მოგვცემს გამოძიება, – განაცხადა რამიშვილმა.

„მამაჩემმა მოგვაძახა, შენ და დედაშენი შენი ძმის ხმას ვეღარ გაიგონებთო“

რას ყვება ნათია აბჟანდაძე საბერძნეთიდან



– თუ ჩემმა ძმამ თავი მოიკლა, გამოდის, რომ აიძულეს. მამაჩემმა რომ მითხრა, შენი ძმის ხმას ვერ გაიგებთო ან მაშინ ჰყავს გაგუდული, ან არ ვიცი, რა მოხდა.

თერჯოლაში გარდაცვლილი 11 წლის ავთანდილ აბჟანდაძის და, ნათია აბჟანდაძე, „ტვ პირველთან“ საუბრისას იხსენებს, თუ როგორ დაურეკა წინა დღეს ძმამ და როგორ ითხოვდა ბავშვი დახმარებას იმის გამო, რომ მამა ეჩხუბებოდა.

– მამაჩემს დაუწყია ყვირილი, ჩემს ძმას შეშინებია, დარეკა მამაჩემმა, დედაჩემს ეუბნებოდა, ფულს ხომ გამომიგზავნო. დედაჩემმა უთხრა, თვის ბოლომდე არ მექნება ფულიო. კარგიო და გაგვითიშა ტელეფონი. ამის შემდეგ მამაჩემს დაუწყია ჩხუბი სახლში, ჩემს ძმას შეშინებია და ასულა ბიძასთან.

მერე გადასულა მამაჩემი ბიძაჩემთან, სასწრაფოდ გადმოდი ავთო სახლშიო. მერე დარეკა ჩემმა ძმამ, სახლში ვარ, თუ რამე, დაგირეკავ და მიშველეო. თუ მამამ ყვირილი დაიწყო, პოლიციას გამოუძახეო. შემდეგ გვითხრა, მამამ დაიძინა და კარგად ვარო.

მეორე დღეს დილით ვურეკავდით ჩემ ძმას და ტელეფონზე არ გვპასუხობდა. შემდეგ გადმოგვირეკა ჩემმა ძმამ, ფულს ხომ გამოაგზავნითო, ამ დროს კი მამაჩემმა მოგვაძახა, რომ ვერც შენ და ვერც დედაშენი შენი ძმის ხმას ვეღარ გაიგონებთ ვერც ახლა და ვერც ვერასოდესო.

რატომ არ გამოუძახეს პოლიციას ყველამ? მე საბერძნეთიდან როგორ უნდა გამომეძახა პოლიცია? მე როცა გავიგე ამბავი, უკვე მკვდარი ყოფილა, – თქვა ნათია აბჟანდაძემ.

გუშინ, 26 აგვისტოს, ზესტაფონის სასამართლოში ფრიდონ აბჟანდაძის პროცესი გაიმართა. ბრალდებულმა მცირე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ შვილთან „იშვიათი“ ურთიერთობა ჰქონდა.

– მე ვყოფილვარ, რაც ვყოფილვარ. რაც წერია, მაგას ჩემისთანა კაცი ვერ გააკეთებს. არ ვიცი, ამდენი ხანი ვყოფილვარ დასაჭერი. რა მაქვს დასამატებელი? – თუ უნდა, დახვრეტა მოითხოვოს. როგორც მე და ჩემი შვილი ვიყავით, იშვიათია. უდედოდ გავზარდე, მე იქით მოვკვდები, ეს აქეთ, მაინც შევხვდებით ერთმანეთს ძმაკაცურად. ჩემი ცხოვრება შრომაში ვარ. თურმე რეციდივისტი ვყოფილვარ, ისეთი თქვა პროკურორმა, – განაცხადა ფრიდონ აბჟანდაძემ.

პროკურატურამ პატიმრობის შეფარდება მოითხოვა. მოსამართლე ზურაბ ბალავაძემ ეს მოთხოვნა სრულად გაითვალისწინა და ფრიდონ აბჟანდაძეს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება გრძელდება. განიხილება ყველა ვერსია. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე დეტალებზე ექსპერტიზის დასკვნამდე არ საუბრობს.

მომდევნო პროცესი 19 ოქტომბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, თერჯოლაში 11 წლის ბავშვის თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მოზარდის მამა დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში, თავის საცხოვრებელ სახლში, ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი ფრიდონ აბჟანდაძე სისტემატურად ძალადობდა, აყენებდა შეურაცხყოფას და ემუქრებოდა მის არასრულწლოვან შვილს ავთანდილ აბჟანდაძეს.

„ფ.ა.-ს მხრიდან განხორციელებული ქმედებების შედეგად, ა.ა. იმყოფებოდა მუდმივი სტრესის და შიშის ქვეშ. 2020 წლის 23 აგვისტოს, თავის საცხოვრებელი სახლის ეზოში არსებულ ხეზე, ა.ა. თოკით ჩამომხრჩვალი იპოვეს.

სამართალდამცველებმა ფ.ა. იმავე დღეს დააკავეს. 2020 წლის 25 აგვისტოს მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 126'-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ოჯახში ძალადობა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) და 11'.115-ე მუხლის პირველი ნაწილით (თვითმკვლელობამდე მიყვანა) წარედგინა“ – ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

„ზუგდიდში გადმოდიოდა და მდინარემ გაიტაცა“

ენგურმა მამაკაცის ცხედარი გამორიყა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ორსანტიაში მდინარე ენგურმა მამაკაცის ცხედარი გამორიყა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოფლის რწმუნებულმა ელგუჯა ბოკუჩავამ განუცხადა, მამაკაცი გალის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრია და ის, სავარაუდოდ, ოკუპირებული აფხაზეთიდან მდინარის მეშვეობით ზუგდიდის მიმართულებით გადმოდიოდა.

– მამაკაცის ცხედარი გუშინ აღმოაჩინეს ადგილობრივებმა. შესაბამის ორგანოებს ვაცნობეთ. სავარაუდოდ, ზუგდიდში გადმოდიოდა და მდინარემ გაიტაცა, – აცხადებს ელგუჯა ბოკუჩავა.

შს სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

საგამოძიებო სამსახურმა კომპანიის ხელმძღვანელი პასუხისგებაში მისცა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქვემო ქართლის რეგიონში, სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის პროცესში, ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტზე პასუხისგებაში მისცეს კომპანიის ხელმძღვანელი.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომლის კომპანიასაც არ გააჩნდა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაწესებული, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტისათვის სავალდებულო შესაბამისი სამუშაოების განხორციელების გამოცდილება, გააყალბა აღნიშნული გამოცდილების დამადასტურებელი ხელშეკრულებები, სამუშაოების შესრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტები, რომლებიც შემდგომ წარუდგინა სატენდერო კომისიას.

აღნიშნული კატეგორიის დანაშაული ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 6 წლამდე ვადით.

მამამ ვეფხია ხაჩიძე დაასაფლავა და მერე თავი ჩამოიხრჩო

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა ინფორმაცია კიდევ ერთი ტრაგიკული შემთხვევის შესახებ – შუახნის მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით მას შემდეგ დაასრულა, რაც შვილი დაასაფლავა.

18 აგვისტოდან 25 აგვისტომდე ოჯახს ორი გარდაცვლილი ჰყავს, ისინი მამა-შვილი ხაჩიძეები არიან.

გასულ კვირას, 18 აგვისტოს, სახლიდან გავიდა 31 წლის ვეფხია ხაჩიძე და გაუჩინარდა.

ხაჩიძის მამა აცხადებდა, რომ მისი შვილი სახლიდან გასვლის დროს ნასვამი არ ყოფილა და არც რაიმე პრობლემა ჰქონია.

რამდენიმედღიანი სამძებრო მოქმედებების შედეგად, მტკვარში 20 აგვისტოს ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს.

ცხედრის იდენტიფიცირებით დადგინდა, რომ ის ვეფხია ხაჩიძე იყო.

მამა შვილის დაკრძალვას დაელოდა. 31 წლის ახალგაზრდა 24 აგვისტოს დაასაფლავეს და მალევე მამამ თავი ჩამოიხრჩო.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

მოჭიდავე ძმები ლუკა და იური ლომაძეები ბათუმის საქალაქო სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

მოჭიდავე ძმები ლუკა და იური ლომაძეები ბათუმის საქალაქო სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.

გუშინ, 26 აგვისტოს, წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარე პატიმრობის გირაოთი შეცვლას ითხოვდა. მოსამართლე დავით მამისეიშვილმა ადვოკატების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, აღნიშნა, რომ ბრალდება ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთას ეხება და საქმის სიმძიმიდან გამომდინარე ვერ დააკმაყოფილებდა ადვოკატების მოთხოვნას.

ბრალდება ლომაძეებს ადამიანის უკანონო თავისუფლების აღკვეთას ედავება. ისინი ივლისის თვეში დაიკავეს.

უწყების ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა 1988 წელს დაბადებულ ნ.ძ.-ს ქალაქ ბათუმში, შურისძიების მოტივით, თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს, კერძოდ, ძალის გამოყენებით ჩასვეს მ.ბ.-ს მართვის ქვეშ მყოფ ავტომობილში, წაიყვანეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოხვაურში, ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელ სახლში, სადაც ფიზიკურად გაუსწორდნენ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ჯგუფური ძალადობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ორხევში მამაკაცი დაჭრეს

ორხევში, მუხაძის ქუჩაზე მამაკაცი დაჭრეს. მას ჭრილობა ცივი იარაღით აქვს მიყენებული. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-ის 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

გურიაში კაცმა ნათესავი დაჭრა, რომლის ქათამმაც ბოსტანში პომიდორი შეუჭამა

გუშინ, 26 აგვისტოს, გურიაში 73 წლის ერასტო ლომჯარია დაიჭრა.

მეზობლები მედიასთან კომენტარს არ აკეთებენ, თუმცა პირად საუბრებში ამბობენ, რომ დაპირისპირება ნათესავებსა და მეზობლებს შორის მოხდა:

– ერთის ქათმები გადავიდნენ მეორეს ბოსტანში და შეჭამეს პომიდორი, რასაც მოჰყვა დაპირისპირება, რის გამოც 73 წლის ერასტო ლომჯარია მისმა ნათესავმა და მეზობელმა, 67 წლის ვაჟა ლომჯარიამ ცეცხლსასროლი იარაღით, სანადირო თოფით დაჭრა.

დაჭრილი ოზურგეთის კლინიკაშია მოთავსებული. ექიმების თქმით, მას პირველადი დახმარება ჩაუტარდა. პაციენტს აღენიშნება სანადირო თოფით ფეხისა და ბარძაყის არეში ჭრილობები. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ცხელ კვალზე დაკავებულია ერთი პირი. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

„დავინახე, როგორ გადახტა“

მტკვარში ახალგაზრდა მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გუშინ, 26 აგვისტოს, დილით, მტკვარში ახალგაზრდა მამაკაცი გადახტა.

ორთაჭალაში, ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე, თვითმხილველმა დაინახა, როგორ გადახტა მამაკაცი მდინარეში.

მოგვიანებით ეს მამაკაცი მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს.

აშშ-ში აქციაზე სროლას 2 ადამიანი შეეწირა

აშშ-ში, უისკონსინის შტატის ქალაქ კენოშაში საპროტესტო აქციაზე მომხდარ დაპირისპირებას 2 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

შემთხვევა ბენზინგასამართ სადგურთან მოხდა, სადაც დემონსტრანტებსა და შეიარაღებულ პირებს შორის დაპირისპირება მოხდა. სროლის შედეგად დაიღუპა ორი და დაშავდა ერთი ადამიანი.

საპროტესტო აქციები ქალაქ კენოშაში მას შემდეგ იმართება, რაც 23 აგვისტოს პოლიციელებმა 29 წლის ფერადკანიან მამაკაცს, ჯეიკობ ბლეიკს მაშინ ესროლეს, როცა ის საკუთარ მანქანაში ჯდებოდა. ამ შემთხვევიდან რამდენიმე საათში ასობით ადამიანი კენოშას პოლიციის შენობასთან შეიკრიბა. პოლიციამ, შეიარაღებული მძარცველებისგან თავდასხმის აცილების მიზნით ბიზნესობიექტებს, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, დროებით დახურვისკენ მოუწოდა და ქალაქში ღამის ე.წ. კომენდანტის საათი დააწესა.

ორშაბათს, უისკონსინის შტატის გუბერნატორმა ტონი ევერსმა დახმარებისთვის ეროვნულ გვარდიას მიმართა. მათ მომიტინგეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს. სოციალურ ქსელში გავრცელდა კადრები, სადაც ჩანს, როგორ აზიანებს რამდენიმე დემონსტრანტი მანქანებსა და სხვადასხვა შენობას. ვრცელდება დამწვარი შენობებისა და მანქანების ფოტოებიც.

სამშაბათს ქალაქში ასობით დემონსტრანტი შეიკრიბა. მათმა ნაწილმა სამართალდამცავებს პიროტექნიკა და ბოთლები დაუშინა, რასაც პოლიციამ რეზინის ტყვიებითა და ცრემლსადენი გაზით უპასუხა.

უისკონსინის შტატში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

საპროტესტო აქციები სხვა ქალაქებშიც იმართება, მათ შორის პორტლენდში, ორეგონში, მინეაპოლისსა და მინესოტაში.

ბორის ჯონსონი: „ნავალნის მოწამვლამ მსოფლიო შოკში ჩააგდო“

ალექსეი ნავალნის მოწამვლამ მსოფლიო შოკში ჩააგდო, დიდი ბრიტანეთი სოლიდარობას უცხადებს მასა და მის ოჯახს, – ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი სოციალურ ქსელ ტვიტერში წერს.

„ალექსეი ნავალნის მოწამვლამ მსოფლიო შოკში ჩააგდო. გაერთიანებული სამეფო სოლიდარობას უცხადებს მას და მის ოჯახს. აუცილებელია მომხდარის სრულფასოვანი, გამჭვირვალე გამოძიება. დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ. გაერთიანებული სამეფო შეუერთდება საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობებს სამართლიანობის აღსრულების უზრუნველყოფის კუთხით“ – წერს ჯონსონი.

კრემლში კი არ სურთ დასავლეთთან ურთიერთობის გაუარესება ნავალნის საქმის გამო. ამის შესახებ ვლადიმერ პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა.

– რა თქმა უნდა, ჩვენ ამას არ ვისურვებდით – ეს ერთი; მეორე – ამისთვის არანაირი მიზეზი არ არსებობს, – განუცხადა პესკოვმა ჟურნალისტებს.

მისი თქმით, კრემლი სხვებზე ნაკლებად არ არის დაინტერესებული მომხდარის მიზეზების დადგენაში ალექსეი ნავალნისთან დაკავშირებით.

– ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ ასევე დაინტერესებული ვართ იმით, რომ გავიგოთ და განვსაზღვროთ, რა მოხდა ავადმყოფთან დაკავშირებით, თუმცა, ჯერჯერობით, ჩვენ ამის გაკეთება არ შეგვიძლია. ჩვენ სხვებზე ნაკლებად არ ვართ დაინტერესებულები. რაც შეეხება საერთაშორისო სააგენტოების ინფორმაციას, რომ ვიღაც იმედგაცრუებულია და ასე შემდეგ, ჩვენ მაინც ოფიციალური განცხადებებიდან გამოვდივართ და არა სააგენტოების ინფორმაციებიდან, – თქვა პესკოვმა.

მანვე განაცხადა, რომ მრავალმა ანალიზმა, რომელიც რუსმა მედიკოსებმა გააკეთეს, სამწუხაროდ, შეუძლებელი გახადა ნავალნის ორგანიზმში იმ ნივთიერების აღმოჩენა, რამაც მისი ეს მდგომარეობა გამოიწვია.

გერმანია რისკის ზონებიდან ქვეყანაში შემავალთათვის ტესტირების პრაქტიკას წყვეტს

გერმანიამ შეწყვიტა კორონავირუსის გამოსავლენად აუცილებელი ტესტირების პრაქტიკა იმ მოგზაურებისთვის, რომლებიც უცხოეთის მომატებული რისკის ზონებიდან ბრუნდებიან და თავის სტრატეგიას ტესტირებასთან დაკავშირებით იმ ადამიანებისკენ მიმართავს, რომლებსაც სიმპტომები გამოუვლინდება.

გერმანიის ჯანდაცვის მინისტრ იენს შპანის განცხადებით, ზაფხულის არდადეგების პერიოდში გერმანიაში კორონავირუსზე ტესტირება თითქმის გაორმაგდა და 900 ათასს მიაღწია კვირის განმავლობაში, ნაწილობრივ იმ ადამიანთა გამოსავლენად, რომლებიც საზღვარგარეთ მოგზაურობის დროს დაინფიცირდნენ.

მისივე ინფორმაციით, ადამიანებს, რომლებიც სახლში ბრუნდებოდნენ დაინფიცირების რისკის ზონებიდან, აეროპორტებში, სადგურებსა და გზატკეცილების გაჩერებებზე უფასო ტესტირების გავლას სთავაზობდნენ, რაც მათ საშუალებას აძლევდა, ორკვირიანი კარანტინისთვის თავი აერიდებინათ, თუკი შედეგი უარყოფითი იქნებოდა.

მინისტრის თქმით, მოგზაურებისთვის, რომლებიც მაღალი რისკის ზონებიდან გერმანიაში ბრუნდებიან, აუცილებელი იქნება კარანტინის გავლა სულ მცირე ხუთი დღის განმავლობაში, ვიდრე ტესტს ჩააბარებენ, რომელიც უფასო აღარ იქნება, გარდა ექიმის შესაბამისი რეკომენდაციისა.

მინისტრს არ დაუკონკრეტებია, როდის შეიცვლება ეს წესი, თუმცა მოსალოდნელია, რომ ამაზე გადაწყვეტილებას ხუთშაბათს მიიღებენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ბელა ჰადიდმა ფოტოსურათი თხებთან ერთად გადაიღო

ამერიკელმა სუპერმოდელმა ბელა ჰადიდმა პენსილვანიაში დედის, ნიდერლანდელი ფოტომოდელის იოლანდა ვან დენ ჰერიკის ფერმაში გადაღებული ფოტოსურათები გამოაქვეყნა. ინსტაგრამში გამოქვეყნებულმა ფოტოსურათებმა ჟურნალისტების ყურადღება მიიპყრო.

23 წლის მოდელი ფოტოსურათებზე მწვანე ბალახზე თხებთან ერთადაა აღბეჭდილი, რომლებიც მის ძმას ანვარ ჰადიდსა და მის მეგობარ გოგონას, მომღერალ დუა ლიპეს ეკუთვნის. იტალიური მოდის სახლის Bottega Veneta-ს კაბაში გამოწყობილი ბელა ჰადიდი შინაურ ცხოველებს ეხვევა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოდელის კაბა 2890 დოლარი ღირს.

ფოტოსურათებისთვის თანდართულ კომენტარში ჰადიდმა დაწერა, რომ აღნიშნული კადრები მიმდინარე წლის მაისში თვითიზოლაციის რეჟიმის დროსაა გადაღებული, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო იქნა შემოღებული. ასევე მოდელმა ისიც აღნიშნა, რომ ფოტოსურათების ავტორი მისი უფროსი და ჯიჯი ჰადიდია.

სპილომ ნაკრძალის თანამშრომელი ეშვებზე წამოაგო

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნული პარკის ტორნიბუშის ბუნების ნაკრძალში სპილომ ნაკრძალის თანამშრომელი მოკლა.

27 წლის გიდი შელდონ ჰუპერი კოლეგასთან ერთად ტერიტორიის შემოვლას ახორციელებდა. ნაკრძალის თანამშრომლები ამ შემოვლის დროს ცხრა სპილოსგან შემდგარ ჯოგს გადააწყდნენ, რომელიც სამ მოზრდილ და ექვს მოზარდ ცხოველს აერთიანებდა.

ადამიანების დანახვამ ცხოველები დააფრთხო და ისინი მათ თავს დაესხნენ. ერთ-ერთმა სპილომ, მიუხედავად იმისა, რომ მას ადამიანებისგან ელექტროგაყვანილობის წინაღობა ყოფდა, ჰუპერთან მიახლოება მოახერხა. მან გიდს ორჯერ დაარტყა ეშვები, ჯერ მუხლებში და მერე გულთან. ამ დარტყმების შედეგად გიდს ძლიერი სისხლდენა დაეწყო, სპილო კი შემთხვევის ადგილს გაეცალა.

ნაკრძალის ექიმ ტრევორ ჯორდანის თქმით, ჰუპერთან ერთად შემოვლაზე მყოფი მამაკაცი თავდასხმისთანავე დახმარების მოსაყვანად გაიქცა.

– ექიმები ადგილზე სწრაფად მივიდნენ და სისხლდენის შესაჩერებლად გააკეთეს ყველაფერი, რაც კი შეეძლოთ, მაგრამ ცხოველის თავდასხმიდან 29 წუთში ჰუპერი დაიღუპა, – განაცხადა მან.

განძისმაძიებლებმა ორი დიდი თვითნაბადი ოქროს ზოდი იპოვეს

ავსტრალიის ოქროსმომპოვებელ ქალაქ ტარნაგულის მახლობლად განძისმაძიებლებმა ორი უზარმაზარი თვითნაბადი ოქროს ზოდი იპოვეს.

ბრენტ შენონმა და ითან ბესტმა ორი 3,5-კილოგრამიანი თვითნაბადი ოქროს ზოდი აღმოაჩინეს. ექსპერტები მათ მიერ ნაპოვნ განძს 350 ათას ავსტრალიურ დოლარად აფასებენ. თუ განძისმაძიებლები ოქროს კოლექციონერისთვის მიყიდვას შეძლებენ, შესაძლოა, მათი მოგება 30 პროცენტით გაიზარდოს.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ითანმა უამრავი თვითნაბადი ოქრო იპოვა, თუმცა ეს უკანასკნელი აღმოჩენა, მისივე თქმით, ყველაზე ძვირფასია.

– ერთ დღეში ერთბაშად ორი ოქროს ზოდის პოვნა, უბრალოდ, აღმაფრთოვანებელია, – განაცხადა განძისმაძიებელმა, – ხოლო რაც შეეხება პატარა ნაწილაკებს, ისინი ათასობითაა ჩემს ანგარიშზე.

კანადელმა მრავალმილიონიანი ჯეკპოტი მეორედ მოხსნა

კანადის პროვინცია ახალი შოტლანდიის მკვიდრმა რეიმონდ ლილინგტონმა მეორედ მოხსნა მრავალმილიონიანი ჯეკპოტი და საკუთარი წარმატების საიდუმლო გაამხილა.

2013 წელს ლილინგტონმა ლატარიის ბილეთი ლოტო 6/49 შეიძინა და 3,2 მილიონი კანადური დოლარი მოიგო. მიუხედავად ასეთი მსხვილი მოგებისა, მას ლატარიის გათამაშებებში მონაწილეობა არ შეუწყვეტია და ყოველ ჯერზე ლოტო 6/49-ის ბილეთებს ყიდულობდა. ის ნათესავებისა და მეგობრების დაცინვამაც კი ვერ შეაჩერა.

ამ ჩვეულების წყალობით კანადელი ოთხშაბათს, 19 აგვისტოს, ისევ გამდიდრდა. ამჯერად მისმა მოგებულმა მთავარმა პრიზმა 17,4 მილიონი კანადური დოლარი შეადგინა. ამ თანხას მამაკაცი და მისი მეუღლე შვილებსა და შვილიშვილებს, ასევე საზღვარგარეთ მოგზაურობასა და ახალი სახლის შეძენას მოახმარენ.

– თუ გსურს, მოგების შანსი გქონდეს, ლატარიის ბილეთი უნდა იყიდო, – აღნიშნა ლატარიის გამარჯვებულმა და იქვე დაამატა, რომ ლატარიის გათამაშებში მონაწილეობის გაგრძელებას ამის შემდეგაც აპირებს.

პლეიბოის მოდელი სამედიცინო ნიღბების ბიკინიში გამოეწყო

ჟურნალ პლეიბოის მოდელმა დამცავი სამედიცინო ნიღბებისგან ბიკინი დაამზადა და კორონავირუსის პანდემიის აღსანიშნავად, მასში გამოწყობილმა, ფოტოსესია მოიწყო.

27 წლის იასმინ სანტოსმა ინსტაგრამში განათავსა ფოტოსურათი, რომელშიც ის ცისფერი კარის ფონზე პოზირებს. ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული ფოტოსურათი საბერძნეთის საკურორტო კუნძულ მიკონოსზე დასვენების დროს არის გადაღებული.

ფოტოზე მოდელი თვითნაკეთ საცურაო კოსტიუმშია გამოწყობილი, რომელიც დამცავი სამედიცინო ნიღბებისგან არის დამზადებული.

– როდესაც ეს ყოველივე დასრულდება, ჩვენ დაგვრჩება ნიღბები. და რატომ არ უნდა მოვუნახოთ მათ ახალი დანიშნულება? – განაცხადა გოგონამ.

სანტოსმა ასევე აღნიშნა, რომ როდესაც პლაჟზე ასე გამოწყობილი გამოჩნდა, ბევრი მას ეჭვის თვალით უყურებდა, თუმცა მალევე მის „ბიკინის“ შეეჩვივნენ. გოგონას მტკიცებით, ზოგიერთი იმითაც კი დაინტერესდა, თუ სად შეიძინა მან ასეთი საცურაო კოსტიუმი.

შვეიცარიაში შოკოლადის წვიმა მოვიდა



შვეიცარიაში საკონდიტრო ფაბრიკის გაუმართაობის გამო შოკოლადის წვიმა მოვიდა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მასმედია ავრცელებს.

შვეიცარიულმა შოკოლადის ფაბრიკამ Lindt & Sprungli-მ დაადასტურა, რომ სავენტილაციო სისტემის გაუმართაობის გამო ქალაქ ოლგენში კაკაო-ფხვნილი მიმოიფანტა. დაწესებულების წარმომადგენლებმა დააზუსტეს, რომ საკონდიტრო ინგრედიენტი ძლიერმა ქარმა მიმოფანტა.

ფაბრიკის თანამშრომლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კაკაო-ფხვნილი გარემოსთვის საფრთხის შემცველი არ არის. სავენტილაციო სისტემა უკვე მთლიანად აღდგენილია. შოკოლადის ფაბრიკის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ტრანსპორტის და საცხოვრებელი ნაგებობების გაწმენდის სამუშაოებს სრულად აანაზღაურებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

გიორგი კეკელიძე: „შვილებს ყური დაუგდეთ, კი არ აუწიოთ“

მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე თერჯოლაში გარდაცვლილი 11 წლის ბიჭის ამბავს ინტერნეტით ეხმაურება და მშობლებს სთხოვს, შვილებს ყურადღებით მოუსმინონ:

– შვილებს ყური დაუგდეთ, კი არ აუწიოთ.

იმ პატარა ბიჭის უბედურების მიღმა, მთავარი ამბავი ის გახლავთ, რომ ჩვენგან დაგმობილი სასტიკი კაცი ვერ არის ერთადერთი. სამწუხაროდ, ვერ არის. ერთადერთი კი არა, ათასთა შორისაა. ეს ათასები ირგვლივ დადიან და გვიღიმიან. მერე ჩვენსავე თვალწინ „წამოარტყამენ“ ხოლმე პატარებს ან თმებში წვდებიან. „არ უჯერებს“ და „რა ქნან?“

ჩვენ ვდუმვართ. ან ეგებ ცოდვა გამხელილი სჯობს და იგივეს ვაკეთებთ. რამდენი ბავშვი მისულა თოკთან, კიდევ კარგი, ვერ გაუბედავს, მაგრამ დღემდე ყელზე აქვს ეს ყულფი – ეტყობა მათ თვალებს, ძალიან ეტყობა გაუგებარი და ბოროტი სასჯელი. ახალამოწვერილი ოცნებების შეშინება და დაფრთხობა წკეპლით – ყველაზე დიდი დანაშაულია გულუბრყვილო მოტივით, თითქოს ასე უკეთეს ადამიანებს ვზრდიდეთ. შიშით დამჯერ ადამიანებს – საბოლოოდ, ან საცოდავებს, ან გაბოროტებულებს.

დიახ, შვილებს ყური დაუგდეთ, კი არ აუწიოთ. ასე უფრო უკეთესები გაიზრდებიან. ჩემზე და შენზე უკეთესები.

ბესიკ დუღაშვილი: „არ მინდა ხაშურის შემოვლითი გზა!“

მხატვარი ბესიკ დუღაშვილი შატილის გზაზე მომხდარ ავტოკატასტროფას ეხმაურება და მთავრობას იმ ადგილების მოწესრიგებას ურჩევს, სადაც ჯერ გზა არ არის:

არ მინდა ხაშურის შემოვლითი გზა!

არ მინდა ქუთაისის შემოვლითი და ლანჩხუთის შემოვლითი გზები!

შატილის გზა, თუშეთის გზა...

ის ადგილები მოაწესრიგეთ, ჯერ სადაც გზა არ არის!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

11 წლის ბიჭი ზღვაში გადახტა და ბავშვი დახრჩობას გადაარჩინა

ინგლისის ჩრდილოეთ იორკშირის საგრაფოს სოფელ სტაიტესში ბიჭმა ბავშვი ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა.

11 წლის ელაი ჰარისონი ოჯახთან ერთად სანაპიროზე ისვენებდა, როდესაც ნაპირიდან დაახლოებით ათ მეტრში შენიშნა ბიჭში, რომელიც ზღვაში იხრჩობოდა. ის დაუყოვნებლივ გადაეშვა წყალში და ბავშვის გადარჩენა მოახერხა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს წყალი ჰქონდა გადაყლაპული, მას დროულად აღმოუჩინეს საჭირო დახმარება და გონს მოვიდა.

გადარჩენილი ბავშვის დედამ ელაის ვაჟკაცური საქციელისთვის მადლიერების ნიშნად ათი ფუნტი სტერლინგი აჩუქა.

– მან ის დაღუპვას გადაარჩინა, – აღნიშნა ჰარისონის დედა კეილმა, – ბავშვის თქმით, ის, უბრალოდ, მოიქცა ისე, როგორც მის ადგილზე სხვა ნებისმიერი მოიქცეოდა. მას თავად არც კი ესმის, თუ როგორი გმირული საქციელი ჩაიდინა.

მეთევზეებმა ადამიანის ზომის თევზი დაიჭირეს

ფილიპინების კუნძულ ტუბაბაოზე მეთევზეებმა უზარმაზარი ღრმა წყლის ბინადარი თევზი დაიჭირეს.

თევზის წონამ 80 კილოგრამი შეადგინა, ხოლო მისი ზომა მოზრდილი ადამიანის ზომას შეესაბამებოდა. თევზისა და წყლის რესურსების ფილიპინების ბიუროს რეგიონული დირექტორის ხუან ალბალახედოს განცხადების თანახმად, ღრმა წყლის ბინადარი თევზი მეთევზეებთან იმ დროს აღმოჩნდა, როდესაც 6,6 ბალის მიწისძვრის შემდეგ წყლის ზედაპირზე ამოცურა.

– ის კარგ თევზად ითვლება, – განაცხადა ალბალახედომ, – მას ცოცხალ ან გაყინულ ან უკვე მომზადებულ მდგომარეობაში ყიდიან და საკმაოდ ძვირად ფასობს.

მოგვიანებით ფილიპინელმა მეთევზეებმა თავიანთი ნადავლი ბაზარზე კილოგრამი 200 ფილიპინურ პესოდ გაყიდეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბარსელონა შარშია — მესიმ წასვლა გამოაცხადა

მეხის გავარდნას ჰგავდა – ლეო მესიმ ბარსელონადან წასვლა გამოაცხადა. არგენტინელმა ფეხბურთელმა „ბლაუგრანას“ კლუბიდან უფასოდ გაშვება მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო, რადგან კონტრაქტის ეს პუნქტი უკვე ვადაგასულია. ბარსელონამ დაასახელა თანხა, რომლის სანაცვლოდაც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს შეელევა – მესის გამოსასყიდი თანხა 700 მილიონი ევროა.

თუმცა, ეს ყველაფერი ასე არ ჩაივლის. ჯერ ერთი, კორონავირუსის პერიოდში 700 მილიონ ევროს თვით მესიშიც კი ვერავინ გადაიხდის. შედეგად, არც ბარსელონა აპირებს ამდენი მოითხოვოს. ესპანური მედიის ცნობით, კატალონიელები მზად არიან მესის 222 მილიონ ევროზე ძვირად შეელიონ. ანუ, იმ თანხად, რომელიც არგენტინელს ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელად აქცევს.

და მაინც რა გახდა მესის ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი?

მესის გუნდიდან წასვლის სურვილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მომავალი პროექტია. მესის ახალი პროექტი არ აკმაყოფილებს, რადგან მისი არ სჯერა. არგენტინელს ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს და ბევრი დროც არ დარჩენია.

ამას ლეოს გარემოცვა ამბობს. თუმცა, ამბობენ იმასაც, რომ რონალდ კუმანმა პირდაპირ განუცხადა ლეოს, გუნდში პრივილეგირებული ფეხბურთელები არ მეყოლებაო. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ ლეო როგორც არგენტინის ნაკრებში, ისე ბარსელონაში დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა და ბევრ რამეს წყვეტდა.

თუმცა, ვნახოთ, რას წერს თავად ესპანური მედია და რა მიზეზებს ასახელებს.

ნეიმარი და სუარესი

ისე ხდება, რომ ლეოს გუნდში მეგობარი აღარ რჩება. ეს კი ასეთი ადამიანისთვის რთული ასატანია, ვიცით მისი ხასიათისა და ჩვეულებების შესახებ. ძალიან თავმდაბალი ადამიანია, მაგრამ გარემოცვასთან ურთიერთობა უჭირს და როგორც საყოველთაოდ ცნობილია, საკმაოდ ჩაკეტილია.

მესისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს ის ადამიანები, რომელთანაც ახლო ურთიერთობა აკავშირებს. გუნდიდან წავიდა ხავიერ მასკერანო, მესის ახლო მეგობარი. როცა მასკე გუნდში იყო, ლეომ იცოდა, რომ არსებობდა ადამიანი, რომელიც მოგებისთვის ყველაფერს გაიღებდა.

გუნდიდან წავიდა ნეიმარი, რაც ორივემ მძიმედ გადაიტანა. დაბრუნებასაც ცდილობდნენ, როგორც ბრაზილიელი, ისე არგენტინელი, მაგრამ არ გამოვიდა. უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახდა, ბართომეუმ ვერც დანი ალვეში შეინარჩუნა და ვერც ნეიმარი, არადა არ უნდა ყოფილიყო მათი დათანხმება რთული საქმე, მერე კი, როცა დაბრუნების შანსი გაჩნდა, დემბელეს ჩართვაზე უარი თქვა და ტრანსფერი ჩაიშალა.

ახლა კი ლუის სუარესის ჯერი მოვიდა, მას მერე, რაც კლუბი მასკერანომ და ნეიმარმა დატოვეს, ლუის სუარესი მესის უახლოეს ადამიანად იქცა. ბარსა, ხელმძღვანელობის შეცდომების გამო, ეკონომიკურ კოლაფსშია, ამიტომ უშვებენ ფეხბურთელს, რომელსაც დიდი ხელფასი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ მზად არის, სათადარიგოთა სკამზე დაჯდეს.

ანტუან გრიზმანი

იყო შანსი, რომ ნეიმარის ტრანსფერში გრიზმანი ჩაერთოთ, მაგრამ ბართომეუმ დაარწმუნა, არაფერი გემუქრება და კონტრაქტის ბოლომდე ჩვენთან იქნებიო. საერთოდ, გრიზმანის ტრანსფერი ძალიან წინააღმდეგობრივი გამოდგა და ერთადერთი ახსნა ის არის, რომ ერიკ აბიდალს ასე მოუნდა. რონალდ კუმანიც იფიცება, თავის პოზიციაზე მშვენივრად ითამაშებსო, მაგრამ სად არის გრიზმანის პოზიცია? იმ სივრცეში, სადაც მესი თამაშობს.

როდესაც სუარესმა ტრავმა მიიღო, ვიფიქრეთ, რომ ცენტრფორვარდის პოზიციაზე მეტის გაკეთებას შეძლებდა, გაიხსნებოდა და ვნახავდით ისეთი ხარისხის ფეხბურთს, რასაც ატლეტიკოში აჩვენებდა, მაგრამ მსგავსი არაფერი გვინახავს. გრიზმანი ლიდერია, ჩრდილს არ არის მიჩვეული, თამაშის წარმმართველია და მისი მოყვანა დიდი სისულელე იყო მაშინ, როცა გუნდში ლეო მესი იყო.

ვალვერდე

ალბათ, ვალვერდეს ყველაზე დიდი ქომაგი სწორედ ლეო მესი იყო. ერნესტოს იდეალურად ორგანიზებული გუნდი ჰყავდა, ძლიერი მენტალობით, ეს განსაკუთრებით „კლასიკოებში“ ჩანდა და პირველ სეზონშიც იდეალური გზა განვლო, მაგრამ 2 კოშმარი დატოვა. ლეო პირველი იყო, ვინც ამ თამაშების შემდეგ ამბობდა, რომ ყველაფერი ფეხბურთელების ბრალი იყო.

არც მთლად ასეა საქმე, მწვრთნელმა ასეთ დროს ფეხბურთელების მოტივირება უნდა შეძლოს, ერნესტო კი ყველა ბედნიერებასთან ერთად, ვერ იყო კარგი მოტივატორი. როცა მესი ამბობდა – ყველაფერი ჩვენი ბრალია, გულისხმობდა, რომ შემადგენლობა ცვლილებებს საჭიროებდა, მაგრამ ვერ მიიღო ის ცვლილებები, რაც სურდა.

ხელმძღვანელობამ პრობლემა მწვრთნელში დაინახა და ვალვერდე გაუშვა. მესი გაბრაზდა და აქედან დაიწყო მასა და აბიდალს შორის კონფლიქტი.

სეტიენი

აბიდალმა ლეოს გაბრაზება არ იკმარა და სეზონის ჩაგდებაში მთავარი წილი შეიტანა. მაშინ, როდესაც სასურველ მწვრთნელებთან შეთანხმება არ ჰქონდა მიღწეული, ვალვერდე გაათავისუფლა. პატარა ბავშვიც კი მიხვდება, რომ სხვასთან შეთანხმების გარეშე, ამის გაკეთება დამღუპველი იქნებოდა. ზუსტად ვიცით, რომ უარი მიიღო ჩავისა და კუმანისგან, სხვებზე ინფორმაცია არ დადასტურებულა, მაგრამ ალბათ კიდევ იქნებოდა რამდენიმე უარი და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა სეტიენის გაფორმება.

სეტიენი და სარაბია უბრალოდ არ იყვნენ ბარსას დონის მწვრთნელები. თავადაც არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ და თავიანთ სისულელეს ფეხბურთელებს აბრალებდნენ, განსაკუთრებით გამაღიზიანებელი იყო სარაბიას პრეტენზიები სათადარიგოთა სკამიდან.

ლეომ რამდენიმე თამაში მარტომ მოიგო, ყოველგვარი სქემებისა და ტაქტიკის გარეშე, თუმცა, ეს ადრეც არაერთხელ გაუკეთებია.

წყალში ჩაყრილი შესაძლებლობა

ბოლო წვეთი ბართომეუს კუდის მოქნევა გახდა. სამარცხვინოდ დასრულებული სეზონის შემდეგ, გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ბართომეუ გადამდგარიყო, არჩევნებამდე მწვრთნელად დაენიშნათ ის, ვიზეც კანდიდატთა უმრავლესობა შეთანხმდებოდა, ასეთი კაცი კი ჩავი ერნანდესია, დირექტორთა საბჭოში დაბრუნდებოდნენ კარლეს პუიოლი, ანდრეს ინიესტა და ჟორდი კრუიფი, გუნდი დალაგდებოდა და იმ პროექტსაც ჩაეყრებოდა საფუძველი, რომელიც მესის დააკმაყოფილებდა, მაგრამ ბართომეუმ გააკეთა ის, რაც გააკეთა.

ახლა ყველაფერი სამართლებრივ დავაზეა დამოკიდებული. თუ ბარსას ხელმძღვანელობა აღმოჩნდება მართალი, მესის გამოსასყიდი თანხა 700 მილიონი ევრო იქნება, რისი გადამხდელიც არავინ არ არის.

მაგრამ აქ მეორე საკითხი შემოდის. უღირს თუ არა ისეთი ფასეულობების მქონე კლუბს, როგორიც ბარსელონაა, რომ ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელი ძალით დატოვოს კლუბში?

ამიტომ 2 გზა რჩება: თუ ხელმძღვანელობა იქნება მართალი, მან ადეკვატური ფასი უნდა დაასახელოს, რაც დაახლოებით 250 მილიონი ევრო იქნება; თუ მესი იქნება მართალი, ის უფასოდ წავა, რაც კლუბისთვის ორმაგად დიდი დარტყმა იქნება.

ოლივიე ბუმალი: „კამერუნის ნაკრებში დასაბრუნებლად საბურთალო დამეხმარება“

დღეს 3 ქართული გუნდი ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაერთვება. ერთ-ერთი მათგანი დედაქალაქური საბურთალოა, რომელიც უკვე კვიპროსზე იმყოფება და მატჩისთვის ემზადება.

გუნდთან ერთადაა კამერუნელი ახალწვეული ოლივიე ბუმალი, რომელსაც უკვე ჰქონდა დებიუტი ეროვნულ ლიგაში და თავი საგოლე პასით გამოიჩინა. ვნახოთ, რას იზამს კამერუნის ნაკრების ფეხბურთელი აპოლონთან...

ოლივიე ბუმალი:

– შთაბეჭდილებები დადებითია, გუნდში კარგი სავარჯიშო პირობებია, სასიამოვნო საწვრთნელი პროცესი და კარგი განწყობაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გუნდში მეგობრული ატმოსფერო სუფევს. ახლა, მთავარი საფიქრალი მოახლოებული ევროტურნირის მატჩია.

– საქართველოში როგორ მოხვედით? მანამდე თუ გსმენიათ ჩვენს ქვეყანაზე?

– მენეჯერი დამიკავშირდა, რომელმაც საქართველოში, კერძოდ, საბურთალოში თამაში შემომთავაზა. მითხრა გუნდის შესახებ, რა მიზნები და გეგმები აქვს, როგორი ტრადიციების კლუბია. ამ ყველაფრის მერე დავფიქრდი და თანხმობა ვუთხარი. წლების წინ თბილისში ჩემი ახლო მეგობარი, დონალდ ჯუისი თამაშობდა, მისგანაც ვიცოდი საქართველოს შესახებ.

– რა მიზნები გაქვთ ახალ კლუბში?

– მინდა, საბურთლოსთან ერთად წარმატებებს მივაღწიო. გუნდს დავეხმარო მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაში. კარგად ვითამაშოთ ევროტურნირებზე და განვვითარდეთ. პანდემიის გამო გარკვეული დრო გამიცდა, თუმცა ნელ-ნელა სასურველ ფორმას ვუბრუნდები.

– საბურთალო ახალგაზრდული კლუბია, თუმცა გუნდში გამოცდილი ფეხბურთელებიც ირიცხებიან. სხვა ქართველ ფეხბურთელებთან ერთად, თქვენც მოგიწევთ გამოცდილების გაზიარება ქართველ ახალგაზრდებთან.

– მართალია, კლუბის ახალი წევრი ვარ, მაგრამ ვხედავ, თუ როგორ უზიარებენ გამოცდილი ფეხბურთელები ახალგაზრდებს ცოდნას. მათ რიცხვს ნელ-ნელა მეც შევუერთდები. სამწვრთნელო შტაბიც გამოცდილია, საინტერესო და სასიამოვნო ვარჯიშები გვაქვს.

– რამდენიმე ევროპულ კლუბში გითამაშიათ. ყველაზე წარმატებულ დროს სად გაიხსენებთ?

– ჩემს კარიერაში ბევრი კარგი დრო მახსენდება, ერთ-ერთი ასეთი პანათინაიკოსში გატარებული დროა. სასიამოვნოდ ვიხსენებ ჩინეთსა და იაპონიაში განვლილ წლებს. თუმცა, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ეროვნულ გუნდში თამაშია. ნაკრებში გამომახებას ახლაც ველოდები, მაგრამ ჯერ საბურთალოში უნდა დავამტკიცო, რომ თამაშის ღირსი ვარ.

– კვიპროსული გუნდის წინააღმდეგ თუ გითამაშიათ?

– 2016-17 წლებში, როდესაც პანათინაიკოსში ვთამაშობდი, იმ დროს ომონიას ამხანაგურად ვეთამაშეთ. მეტოქემ სასიამოვნო ფეხბურთი ითამაშა. ვიცი, რომ აპოლონი ხშირად თამაშობს ევროპა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე.

– რა მოლოდინი გაქვთ კვიპროსელებთან მატჩის წინ?

– ეს თამაში, როგორც კლუბისთვის, ასევე თითოეული ფეხბურთელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთ თამაშებში იძენ გამოცდილებას, ბევრ რამეს სწავლობ. ერთად დგომით, ბრძოლითა და მონდომებით შეგვიძლია გამარჯვებაზე ვიფიქროთ, მაქსიმუმი უნდა გავიღოთ. ფეხბურთია, სპორტში კი ყველაფერი ხდება. ვფიქრობ, შანსები თანაბარია, მიუხედავად იმისა, რომ ერთმატჩიან თამაშს სტუმრად ვთამაშობთ.

– ბევრ ცნობილ ფეხბურთელთან მეგობრობთ, მათ შორის პსჟ-ს კამერუნელ ჩუპო-მოტინგთან. ესაუბრეთ ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის შემდეგ?

– ჩუპო-მოტინგს ფინალის დღეს ვესაუბრე. ვილაპარაკეთ პსჟ-ს შანსებზე, იმ დღის მნიშვნელობაზე. რა თქმა უნდა, წარმატება ვუსურვე. სამწუხაროა, რომ ჩემი თანამემამულე დამარცხდა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. იმედი მაქვს, სხვა დროს მიეცემა გამარჯვების შესაძლებლობა. კამერუნის ნაკრების ფეხბურთელებს მიმოწერა გვაქვს, ხშირად ვსაუბრობთ-ხოლმე და მოვიკითხავთ ერთმანეთს. როდესაც სანაკრებო მატჩები ახლოვდება, ყველას ძალიან გვიხარია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

25 აგვისტო

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა
საკვალიფიკაციო ეტაპი

პაოკი-ბეშიქთაში 3:1
ტირანა-ცრვენა ზვეზდა 0:1

უეფას ევროპის ლიგა
საკვალიფიკაციო ეტაპი

რიტერიაი-დერი ..... 3:2(დდ)

ჰუსეთი. პრემიერლიგა

ტამბოვი-სოჭი 0:1
არსენალი-ხიმკი 1:1

უეფა ინა. სუპერთასი

შახტარი-დინამო 1:3

ჯალეიდოსკოპი

ძაღლმა პატრონს დანაზოგი თანხა შეუჭამა

სამსახურიდან სახლში დაბრუნებულმა კუნძულ მენის მკვიდრმა ქალბატონმა აღმოაჩინა, რომ მისმა ძაღლმა მისი დანაზოგი თანხა შეჭამა.

35 წლის ჟოსლინ ჰორნმა განაცხადა, რომ მისმა მინიატურულმა პუდელმა სახელად პეგიმ 100 ფუნტი სტერლინგი შეუჭამა, რომელიც შავი დღისთვის ჰქონდა გადადებული. ძაღლმა რაღაცნაირად ქალის საძინებელში შეღწევა მოახერხა, ყულაბას მიაგნო და მასში მოთავსებული ყველა კუპიურა გაანადგურა.

ჰორნის თქმით, მისი ძაღლი ყველაფერს ჭამს, რაც კი იატაკზე დავარდება.

– ამის გამო საძინებელი ოთახი ყოველთვის ჩაკეტილი მაქვს, – დააზუსტა ქალმა. თავდაპირველად მან მომხდარი ვერ დაიჯერა და გადაწყვიტა, რომ შეყვარებული გაეხუმრა.

მალე მან საძინებელში დაგლეჯილი 20-ფუნტიანი კუპიურას ნაგლეჯი იპოვნა. მეორე დილით მისი ეჭვები საბოლოოდ გაიფანტა, როდესაც პეგის გული აერია და შეჭმული კუპიურები ამოანთხია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ნახტომი ბალეტში; 2. მონასეულიძის სკულპტურული ანსამბლი თბილისში; 3. მაღალხარისხოვანი ქვანახშირი; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 5. დაქირავებული სამხედრო მეომრის ძველი სახელწოდება; 10. სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 11. გამოჩენილ ადამიანთა სასაფლაო; 12. ზესტაფონის ძველი სახელწოდება; 13. ამა თუ იმ ენის სიტყვათა მარაგი; 16. ვაშლის ქართული ჯიში; 17. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 19. ორსართულიანი ბრიტანული ავტობუსი; 21. ქართული საქველმოქმედო ორგანიზაცია; 23. მანძილის საზომი ინგლისური ერთეული.

თარაზულად: 6. ძვირფასი ქვების დამუშავებისა და ვაჭრობის ცენტრი ბელგიაში; 7. სამხედრო ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 8. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 9. ქართველი კერამიკოსი, მხატვარი ქალი; 14. უზბეკეთის დედაქალაქი; 15. ნიდერლანდური ლუდი; 18. მეცხოველეობის ფერმა აშშ-ში; 20. მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი; 22. უნგრელ პარტიზანთა ძველი სახელწოდება; 24. საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 25. უბანი თბილისში; 26. დიდი წვეულება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩილე; 2. ივერი; 3. აპაში; 5. ფესახი; 6. საბოტაჟი; 9. გამყრელიძე; 10. ლუფტჰანზა; 11. კაპადოკია; 14. ემუ; 16. ეკლერი; 18. პერო.

თარაზულად: 1. ჩითილი; 4. რეფლექსი; 7. ლეჟავა; 8. შუშპარი; 12. ამადუ; 13. დელისი; 15. სტატია; 17. ილი; 19. საკანდელიძე; 20. სელტა; 21. როზეტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ფოუგერი; 2. პალესტრა; 3. პრიმადონა; 4. ვატმანი; 5. კალათბურთი; 10. ყოჩები; 11. ფანდანგო; 12. ბოქსიტი; 13. ბლოხინი; 16. კურლანდია; 17. ხაბელოვი; 19. არტემიდა; 21. პერიე; 23. დაისი.

თარაზულად: 6. აღადასტური; 7. ბაიდარა; 8. ტეხასი; 9. დაბახანა; 14. ღლიღვები; 15. ბაქტრიანი; 18. გოგრა; 20. კარფური; 22. ვედრება; 24. მელაძე; 25. ადორაცია; 26. კოსოვო.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0804

ევრო — 3.6389

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0517

100 რუსული რუბლი — 4.0636

ამინდის პროგნოზი 27 აგვისტოსათვის

აგუერო: „მინდა, რომ მესი მანჩესტერ სიტიში გადმოვიდეს“

ლიონეს მესის შესაძლო წასვლის შესახებ ბარსელონადან უკვე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს და კომენტარი მისმა თანამემამულემ და მეგობარმა სერხიო აგუერომაც გააკეთა, რომლის თქმითაც, მას ძალიან გაუხარდება მესის მანჩესტერ სიტიში გადასვლა:

– რა თქმა უნდა, მინდა, რომ მესი ჩემი თანაგუნდელი გახდეს, თუმცა ჯერ-ჯერობით არ ვიცი, ეს რამდენად რეალურია. თუ ჩვენ ერთად ვითამაშებთ, ეს საოცარი იქნება. მესის ყველაფერს საუკეთესოს ვუსურვებ და მან იქ უნდა ითამაშოს, სადაც თავს კარგად გრძნობს.

მესის მომავალ გუნდად ყველაზე მეტად მანჩესტერ სიტი განიხილება, რადგან მისი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლაა, რომელთანაც მესის დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს.

კავანი შესაძლოა რეალში გადავიდეს



ურუგვაელი ფორვარდი ედისონ კავანი შესაძლოა მადრიდის რეალის ფეხბურთელი გახდეს. ამჟამად კავანი თავისუფალი აგენტია, ხოლო რეალი ფორვარდს ეძებს, რადგან გუნდში, ბენზემას გარდა, თითქმის არ არის თავდამსხმელი.

ედისონ კავანის ტრანსფერი ბენფიკაში ჩაიშალა, რადგან ურუგვაელმა მაღალი ხელფასი მოითხოვა, ხოლო რეალში შესაძლოა მას ეს სურვილი დაუკმაყოფილონ.

კავანიმ ბოლო შვიდი წელი პსჟ-ში გაატარა, მანამდე კი ის ნაპოლის ღირსებას იცავდა.

დელი ბლინდს გულის პრობლემები აქვს

ამსტერდამის აიაქსის ფეხბურთელ დელი ბლინდს გულის პრობლემები აქვს და ის ერთ-ერთი შეხვედრის დროს მოედანზე დაეცა, თუმცა ყველაფერი კარგად დასრულდა და მან მოედანი თავისი ფეხით დატოვა.

ბლინდი გამოკვლევებს ჩაიტარებს და თუ მას რაიმე დაავადება დაუდგინდა, მაშინ ის დიდი ალბათობით საფეხბურთო კარიერას დაასრულებს.

ბლინდს მსგავსი პრობლემები ადრეც ჰქონდა, თუმცა მაშინ თამაშის უფლება მაინც მისცეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– იცი რაზე ვოცნებობ?

– რაზე?

– იმაზე, რომ შევხვდე ფერიას და მან ასი ათასი დოლარი მაჩუქოს.

– და რატომ მილიონი არა?

– მილიონი? ეგ ხომ არარეალურია.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორაა შენი ცოლი?

– როგორ და ჰუმანიტარული დახმარებასავით.

– ეგ როგორ?

– დაძველდა, მარა მაინც ვხმარობ...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– თუ არის ისეთი რამე, რისი ყურებაც არ მოგბეზრდება?

– კი, სხვისი მუშაობის ყურება...

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემ სამსახურში შიში დაუშვებელია, თუ შიში გამოავლინე, მორჩა, ჩათვალე, რომ მკვდარი ხარ!

– კი მაგრამ, სად მუშაობ?

– საბავშვო ბაღში.

●●●

მამა და შვილი ტელევიზორში მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატს უყურებენ. შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, ეს კაცები რატომ დარბიან?

– რომელიც პირველი მივა, ჯილდოს მიიღებს.

– აბა, დანარჩენები რატომღა მირბიან?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ნიჭიერი“ ბრუნდება

სახალხო შოუ „ნიჭიერი“ ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ ტელეეკრანს უბრუნდება.

7 სექტემბრიდან ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში შოუ „ნიჭიერი“ მორიგ სეზონს წარმოადგენს.

გადაცემის ჩაწერები ჯერ კიდევ თებერვალში გაიმართა, თუმცა მისი ეთერში გაშვება კორონავირუსის გამო ვერ მოხერხდა.

წლევანდელი „ნიჭიერის“ წამყვანი გიორგი ჯაჯანიძეა, ჟიურის წევრები კი – რუსკა მაყაშვილი, ანრი ჯოხაძე, მაკა კვიციანი და დიმა ობოლაძე.

როგორც „ნიჭიერის“ შემოქმედებითი ჯგუფი აცხადებს, ახალ სეზონზე მაყურებელი უამრავ ნიჭიერ ადამიანს აღმოაჩენს.

ზინა კვერენჩხილაძე ჩოხოსნებმა გაიხსენეს

მსახიობი ზინა კვერენჩხილაძე ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა გაიხსენა.

ჩოხოსნებმა და მისმა მეთაურმა, პროფესორმა გოგი დოლიძემ ტრადიციულად მცხეთაში სამთავროს დედათა მონასტერში ყვავილებით შეამკეს მსახიობის საფლავი.

ჩოხოსნებმა წელს უკვე მეცხრედ აღნიშნეს დიდებული მსახიობის დაბადების დღე. სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში ზინა კვერენჩხილაძის საფლავთან შეიკრიბნენ პროფესორი გოგი დოლიძე, მსახიობი გივი ჩუგუაშვილი, პროფესორი მიხეილ ჯიბუტი, პროფესორი ჰენრი კუპრაშვილი...

სიმბოლურია, რომ გარდაცვლილ მსახიობს ჩოხოსნები ყოველწლიურად მიაგებენ პატივს, რადგან თავად ზინა კვერენჩხილაძეც ჩოხოსან რაინდთა დასის წევრი იყო.

ახალბედა ჩოხოსნებისთვის მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში წაიკითხეს მსახიობის განცხადება იმის თაობაზე, თუ როგორ მიიღეს ის ჩოხოსან რაინდთა დასში.

თეატრები ოქტომბრიდან გაიხსნება

საქართველოში კულტურული დაწესებულებები ნელ-ნელა სამუშაო რეჟიმს უბრუნდებიან.

როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა, კინოთეატრები 15 სექტემბრიდან, ხოლო თეატრები პირველი ოქტომბრიდან გაიხსნება. ყველა დაწესებულებას პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების ზედმიწევნით დაცვა მოუწევს.

კულტურული ცხოვრების დაპაუზება მსოფლიოში გავრცელებულმა კორონავირუსმა გამოიწვია.

გუგლმა ქართველი ხალხის ბრძოლას რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამოფენა მიუძღვნა

ქართველი ხალხის ბრძოლას რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ გუგლმა საგანგებო გამოფენა მიუძღვნა.

გამოფენა სახელწოდებით „ხალხური თეატრიდან პოლიტიკურ სატირამდე“ მსოფლიოს უდიდესი კულტურული ინსტიტუტის პლატფორმაზე 25 აგვისტოს ჩაიტვირთა.

ეს არის ამ ტიპის პირველი გამოფენა ამიერკავკასიის მასშტაბით, რადგან ამ შემთხვევაში გუგლის ფოკუსის ობიექტი ერთი ექსპონატია, კერძოდ, საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმში დაცული არუთინ შამშინოვის მონუმენტური ტილო „ყეენობა“.

მხოლოდ გუგლისთვის დამახასიათებელი ზუმ-ინ ფორმატით, დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა ნახატზე ისეთ დეტალებზე გაამახვილოს ყურადღება, რომლის შემჩნევაც საგამოფენო დარბაზში შეუძლებელია.

თუმცა ყველაზე საყურადღებო გამოფენის შინაარსია. ხელოვნების სასახლის სპეციალისტები ნახატის საშუალებით ყვებიან „ყეენობის“ ძირძველი ტრადიციების შესახებ და იმაზე, თუ როგორ იქცა ეს ტრადიცია რუსულ იმპერიალიზმსა და ცარიზმთან ბრძოლის სიმბოლოდ.

ბექა გოჩიაშვილი ბათუმში კონცერტს გამართავს

ქართული ჯაზის თვალსაჩინო წარმომადგენელი ბექა გოჩიაშვილი ბათუმში მონატრებული მსმენელისთვის კონცერტს გამართავს.

31 აგვისტოს ბათუმის კორტებზე შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარდგებიან ბექა გოჩიაშვილი, ნიკოლოზ რაჭველის ორკესტრი, ბასისტი ლევან დეისაძე, დრამერი ზაზა ცერცვაძე, დიჯეი მიშო ურუშაძე, ტატო რუსია და ვოკალისტი გრიგოლ ყიფშიძე.

როგორც შემოქმედებითი გუნდი ირწმუნება, ეს იქნება სრულიად განსხვავებული და დაუვიწყარი კონცერტი, რომელიც მსმენელს დიდი ხნის განმავლობაში არ დაავიწყდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

Victoria’s Secret-ის მოდელი კამერის წინ გაშიშვლდა



ბრაზილიელი სუპერმოდელი და Victoria’s Secret-ის „ანგელოზი“ იზაბელ გულარი დასვენების დროს ცნობილი ფოტოგრაფისთვის გაშიშვლდა და თაყვანისმცემლები გააკვირვა. ფოტოსურათები გოგონამ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ფოტოზე მოდელი სრულიად შიშველი პოზირებს, მკერდზე კი ხელები აქვს აფარებული. ამასთან, ბრაზილიელს უამრავი აქსესუარი და სამკაული ამშვენებს. მას კისერზე რამდენიმე ჯაჭვი და აქვს ჩამოკიდებული, ყურებზე – საყურეები, ხელებზე კი სამაჯურები და ბეჭდები უკეთია. გარდა ამისა, გულარმა გადაღების დროს მზის სათვალე მოირგო.

მოდელის თაყვანისმცემლები გულარის ფიგურამ აღაფრთოვანა, რაც საკუთარ კომენტარებშიც დააფიქსირეს: „შენ მუზა ხარ“, „მთელი სამყაროს სრულყოფილება შენშია ხორცშესხმული“, „სამყაროს ღმერთქალი ხარ“.

ფოტოსესიის ავტორია ცნობილი ბრიტანელი ფოტოგრაფ-მხატვარი, რომელიც კიტანის ფსევდონიმით არის ცნობილი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

27 აგვისტოსათვის

ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას ზედმეტი რისკი გავნებთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – კარგი დროა ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდდებული არ არის. **ტყუპები** – თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით, დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – შემოქმედ ადამიანებს კეთილისმყოფელი დღე აქვთ. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თქვენს მტრებზე შური არ იძიოთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – არც ზედმეტი თავდაჯერებულობა ვარგა და არც გაუბედაობა. ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ძალიან გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბლიანი დღეა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, ყველაფერი დიდებულად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მერწყული** – ვარსკვლავები სასიყვარულო ურთიერთობებში გეხმარებიან. ბედი გწყალობთ. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ქათმის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 2. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 3. გერმანელი მრეწველი, ოპტიკური მინების წარმოების ფუძემდებელი; 5. საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატა აშშ-ში; 6. გაუთლელი ხის მორებით ნაგები სახლი სამეგრელოში; 9. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. აეროპორტი რომში; 11. უმაღლესი ხელისუფლების წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 14. მაღალმთიანი სოფელი სტეფანწმინდის რაიონში; 16. ქართული ნაციონალური კერძი; 18. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 1. მონასტრის მეურნეობის მმართველი; 4. ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟი, დიდი ფრინველი; 7. გამცემლობა, ვერაგობა; 8. ბერძნული ცეკვა; 12. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 13. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 15. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 17. სამჭედლო იარაღი; 19. ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 20. იაპონური აბანო; 21. საავტომობილო ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა